ეროვნული ბიბლიოთეკა

გუშინ საქართველოს მიწა-წყალზე

# კომუნისტური შრომის ზეიმი!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

13 აპრილი კვირა 1969 ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი ● № 87 (14387)

...პირდაპირ უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს მუშების მიერ მათივე საკუთარი თაოსნობით მოწყობილ კომუნისტურ შაბათობებს. ჩანს, ეს ჯერ, მხოლოდ დასაწყისია, მაგრამ ეს არის არაჩვეულებრივ დიდი მნიშვნელობის დასაწყისი.

ვ. ი. ლენინი.



**მოვიდნენ შაბათობაზე**

6.000-ზე მეტი მანეთის პროდუქცია მისცა სამშობლოს 12 აპრილს, საიუბილეო შაბათობის დღეს, თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალ-სამშენებლო ქარხნის № 1 ამწყობმა საამქრომ. სურათზე: შაბათობის მონაწილე ელმავალმშენებელ მუშათა ჯგუფი.

ფოტო ს. კილაძისა.

## მეშახტეთა დარაზმულობა

ჭიათურა. (საკ. კორ.). მეშახტეები ერთსულოვნად დარაზმული მოვიდნენ კომუნისტურ შაბათობაზე. განსაკუთრებული ორგანიზებულობა გამოიჩინეს ლენინის სახელობის მაღაროს მშრომელებმა. მარტო პირველ ცვლაში ლენინურ შაბათობაზე მონაწილეობა მიიღო 450 მეშახტემ.

იმ საწარმოო უბნებში, რომლებსაც რ. პაპიძე, ა. მაისურაძე, რ. ბუხკივაძე, ო. კობახიძე და ო. გოგატიშვილი ხელმძღვანელობენ, უკლებლივ ყველა მუშა მოვიდა სამუშაოზე. ამ ცვლაში ლენინელებმა სამშობლოს მისცეს 1.600 ტონაზე მეტი მარგანეცი და გამომუშავებული ხელფასი ხუთწლედის რესპუბლიკურ ფონდში შეიტანეს.

# ენთუზიასტები თბილისის ქუჩებში

დილიდან ორგანიზებულად გამოვიდნენ სამუშაოდ თბილისის ლენინის რაიონის მშრომელები. ბარებით, ნიჩბებით, წერაქვებით შეიარაღებული 4.000-ზე მეტი კაცი მოედო გუშინ ქუჩებს, მოედნებს, სკვერებს. ისინი იღებდნენ ორმოებს ხეების დასარგავად, ასუფთავებდნენ ქუჩებს. ამ სამუშაოებში განსაკუთრებით ისახელეს თავი ქარხანა „ცენტროლიტის" მშრომელებმა. მათ კუიბიშევისა და ულიანოვის ქუჩებზე 400 ორმო ამოიღეს, მშენებლობის ნაგვისაგან გაწმინდეს ქუჩები, დაასუფთავეს გაზონები.

შაბათობაზე ნაყოფიერად იმუშავეს აგრეთვე ტრიკოტაჟის კომბინატისა და მე-7 სამკერვალო ფაბრიკის მშრომელთა კოლექტივებმა. მეტრიკოტაჟეებმა ჯერ თვით კომბინატის ტერიტორია დაასუფთავეს, შეაგროვეს ჯართი, წესრიგში მოიყვანეს სპორტული მოედნები, გასხლეს გაზონები.

დილიდან საღამომდე არ შეწყვეტილა შრომა ოქტომბრის რაიონის ქუჩებში და მოედნებზე. 6.000-ზე მეტი კაცი გამოვიდა შაბათობაზე, მათ შორის პენსიონერები, მოსწავლეები. შრომის ენთუზიასტებმა ამ დღეს აღადგინეს და განაახლეს 2 სკვერი, მტკვრის სანაპიროზე დარგეს 2 ათას ძირზე მეტი წიწვოვანი და ფოთლოვანი ხე.

კიროვის რაიონის 10 ათასი მშრომელი მონაწილეობდა გუშინ შაბათობაში. აქედან 7 ათასამდე კაცმა საწარმოში იმუშავა და თავისი წვლილი შეიტანა ხუთწლედის ფონდში, დანარჩენი კი დედაქალაქის კეთილმოწყობასა და დასუფთავებაზე ზრუნავდა.

ამ დღეს შაბათობის მონაწილეებმა სოღანლუღისაკენ მიმავალი გზის გაყოლებით 3 ათასზე მეტი ორმო მოამზადეს ხეების დასარგავად, დაასუფთავეს და გაამწვანეს კოტონწინდების, სატრიკოტაჟო ფაბრიკა „კომსომოლკას" და სხვა საწარმოთა ტერიტორიები. აღნიშნულ სამუშაოებში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ფაბრიკა „კომსომოლკას" და ქარხანა „ელექტროშედუღების" კოლექტივებმა.

კალინინის რაიონში მცხოვრები 10 ათასი კაცი გამოვიდა შაბათობაზე. მათი უმრავლესობა რაიონის კეთილმოწყობაზე მუშაობდა. კალინინელები მარტო 7.500-მდე ორმოს ამოთხრიან შავნაბადას ფერდობების გასამწვანებლად. ამ სამუშაოებში მონაწილეობენ სამეცნიერო და შემოქმედებითი ორგანიზაციები, სამინისტროები და უწყებები, რაიონის მშრომელები.

500 ახალგაზრდა მუშაობდა გუშინ კოჯრის გზატკეცილზე, რათა დააჩქარონ სარაიონო სტადიონის მშენებლობის დამთავრების ვადა. თეატრალური ინსტიტუტის, სამხატვრო აკადემიის სტუდენტები და მე-11 პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეები ეხმარებოდნენ მეტროპოლიტენის მშენებლებს, ასზე მეტი მოსწავლე აგროვებდა ლითონის ჯართს.

დიდი ენთუზიაზმით შეხვდნენ ლენინურ შაბათობას 26 კომისრის რაიონის მშრომელები.

მეტროს მშენებლობაზე, სადგურ „ისანში" და „ნავთლუღში" ძირითადად რაიონის კომკავშირლები და ახალგაზრდები მუშაობდნენ. სავაჭრო ორგანიზაციებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის მუშაკები ასუფთავებდნენ მაღაზიებს, პავილიონებს, მუშაობდნენ ვიტრინების გაფორმებაზე, ახლომდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობაზე. რაიონის მეხანძრეები ბარათაშვილის აღმართს, შაუმიანის ქუჩასა და მოედანს ასუფთავებდნენ.

რაიონის სკოლების მოსწავლეთა და მასწავლებელთა მიერ დარგული იქნება 3 ათასამდე ხე.

ლენინურ შაბათობაზე ხალისით მოვიდნენ ორჯონიკიძის რაიონის საწარმოთა მუშა-მოსამსახურეები, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების, საპროექტო ინსტიტუტების, სამინისტროების, ტრესტების, სამმართველოების მუშაკები, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები, მოსწავლეები. სულ შაბათობის მონაწილენი რაიონის ტერიტორიაზე 15.000 ორმოს ამოიღებენ და ამდენსავე ნერგს — დეკორაციულ მცენარეებს და ხეხილს დარგავენ.

მწვანე ნარგავებით დამშვენდება კუს ტბის ფერდობი, გაგარინის ქუჩის და სახელმწიფო ცირკის მოედნები.

აღნიშნულ სამუშაოებში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის, საინსტრუმენტო ქარხნის მშრომელებმა.

გუშინ შაბათობაზე ორგანიზებულად გამოვიდნენ და ნაყოფიერად იშრომეს პირველი მაისის რაიონების მშრომელებმა. მათ დაასუფთავეს დედაქალაქის ქუჩები, გასხლეს და გაწმინდეს სკვერები, მოამზადეს ორმოები ნერგების დასარგავად.

გულის კარნახით, სიხარულით და ენთუზიაზმით მოვიდნენ ადამიანები შაბათობაზე მშობლიური ქალაქის დასამშვენებლად და კეთილმოსაწყობად.

## ილიჩის სამშობლოში

ლენინის მემორიალური ცენტრი, ვოლგის მაღალ ნაპირზე რომ შენდება, 12 აპრილს გახდა კომუნისტური შაბათობის ცენტრი ულიანოვსკში. იგი დაიწყო ხანმოკლე მიტინგით. მშენებლობის პარტკომის მდივანი ი. კ. ტიმოშკინი მიესალმა შეკრებილთ და მიულოცა დღესასწაული.

შემდეგ მუშაობაც გაჩაღდა.

— ვირა! მაინა! — გაისმის შეძახილები. შეუჩერებლად მუშაობენ ამწეები. თვალში გეცემოდათ უჩვეულო ორიენტირები: „აქ შრომობენ მოსკოველები", „ლენინგრადელთა უბანი"...

— წინასწარი გაანგარიშებით, — განაცხადა ლენინის მემორიალური ცენტრის მშენებლობის უფროსმა ი. ს. როგაშოვმა, კომუნისტური შაბათობის შრომის მონაწილეთაგან ხუთწლედის ფონდში შევა დაახლოებით 15 ათასი მანეთი. (საკდესის კორ.).

□

## გმირის უკვდავსაყოფად

### საძირკველი ჩაუყარეს გაგარინის ძეგლს

გაგარინი. (სმოლენსკის ოლქი), 12 აპრილი. (საკდესის კორ.). სამყაროს პირველმკვლევის თანამემამულენი დღეს გულთბილად მიესალმნენ აქ ჩამოსულ კოსმონავტ მფრინავებს ვალერი ბიკოვსკისა და ალექსი ლეონოვს, მათ მასწავლებელს გენერალ-პოლკოვნიკ ნ. პ. კამანინს. ნაშუადღევს ქალაქის ცენტრალურ მოედანზე გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი, რომელიც ი. ა. გაგარინის ძეგლის საძირკვლის ჩაყრას მიეძღვნა.

# მხარდამხარ — ორი თაობა

იგი არავის მოუწვევია. როცა გაზეთში შაბათობათა 50 წლისთავის მასობრივად აღნიშვნის ამბავი წაიკითხა, გადაწყვიტა 12 აპრილი თავის ძველ სამუშაო ადგილზე გაეტარებინა.

ორმოცი წელი იშრომა კომუნისტმა, ვეტერანმა მუშამ, ამჟამად პერსონალურმა პენსიონერმა გ. მაისურაძემ თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში და მხოლოდ ამ სამიოდე წლის წინათ დატოვა იგი. მაგრამ აი გუშინ სამუშაოს დაწყებამდე საწარმოს სამგზავრო-სავაგონო საამქროს ახალგაზრდა მუშებს ამოუდგა მხარში და შრომას შეუდგა.

ქარხანაში ვეტერანი მუშის მოსვლა ყველა საამქროში გაიგეს. კარგახანია ამ დღისათვის ემზადებოდნენ ისინი. მათი საწარმო ხომ დამკვრელური შრომის, მდიდარი რევოლუციური ტრადიციების მქონე ქარხანაა. აქ ჩაეყარა საფუძველი პირველ მასობრივ შაბათობებს, რომელთა წყალობითაც აშენდა დღევანდელი საწარმო.

...დამშლელ-დამკომპლექტებელ საამქროში შაბათობაზე საპატიო ვახტს ეწევიან ვეტერანი მუშები ა. კაპანაძე, ხარატი ა. მარგველაშვილი, ზეინკალი ს. სულუაშვილი. ამწყობ საამქროში შევხვდით ვეტერან ამწყობ-ზეინკალს ვ. ანდრიაძეს, რომელიც 1934 წლიდან მუშაობს ქარხანაში. მისმა ბრიგადამ გუშინ ვადაზე ადრე დაამთავრა ერთი ორთქლმავლის აწყობა. მას ორთქლმავლის ნაწილებს შეუფერხებლად აწვდიდნენ პ. სუხიტაშვილის, გ. ალთუნაშვილის ზეინკალთა ბრიგადები, რომლებიც თვეში გეგმის გადამეტებით ყოველთვის 2 ორთქლმავლის ნაწილებს ამზადებენ.

საამწყობო საამქროში მუშაობს ახალბედა ზეინკალი ე. ანდრიაძე, იგი ვეტერანი ზეინკლის ე. ანდრიაძის ვაჟიშვილია. ეს ამბავი საწარმოში გამონაკლისი როდია. სწორედ საწარმოს ორი თაობა ერთხმად გამოვიდა გუშინ შაბათობაზე და რამდენიმე დღის წინათ ნაკისრი ვალდებულება წარმატებით გაანაღდა. საორთქლმავლო საამქროს კოლექტივმა ჩააბარა ერთი მზა ორთქლმავალი, ერთიც გადარბენაზე გაუშვა, შეაგროვა 30 ტონა ჯართი; სამჭედლო საამქროში დაამზადეს 6 ტონაზე მეტი ნაჭედი პროდუქცია; სამსხმელო საამქრომ სამუშაო დღის დამთავრებამდე გაანაღდა ნაკისრი ვალდებულება — გამოუშვა 25 ტონა თუჯის სხმული.

ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებლებმა ამით ხუთწლედის ფონდში გადარიცხეს ათასობით მანეთი. გარდა ამისა, კიდევ ერთი საქმეც გააკეთეს, საწარმოს ტერიტორიაზე მოაწყეს დასვენების სკვერი, დარგეს მცენარეთა ნერგები და ამ სკვერს „საიუბილეო შაბათობის" სკვერი უწოდეს.

რ. მელიძე.

# ხუთწლედის ფონდში

სოხუმი. (საკ. კორ.). 40 ათასი სოხუმელი მშრომელი მუშაობდა გუშინ დაზგებთან, სამშენებლო ხარაჩოებზე. რკინიგზის სადგურიდან სხვადასხვა მიმართულებით დაიძრნენ მძიმეწონიანი მატარებლები, ზღვაში გავიდნენ სოხუმისა და გაგრის მებადური კოლმეურნეები.

თითქმის 15 ათასი მუშა-მოსამსახურე და მოსწავლე ახალგაზრდა გამოვიდა ამ დღეს ინდუსტრიულ ქალაქ ტყვარჩელში. მეშახტეებმა მარტო პირველ ცვლაში 1400 ტონა ქვანახშირი მისცეს სამშობლოს.

საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ათასკაციანი რაზმეული გამოვიდა გუშინ კომუნისტურ შაბათობაზე, რომელმაც კელასურის უბნის მიდამოები კეთილმოაწყო, დაალამაზეს და გაამწვანეს ინსტიტუტის ტერიტორია.

განსაკუთრებით მაღალნაყოფიერი იყო აფხაზეთის მრეწველობის მუშაკთა შრომა. სოხუმის ს. ორჯონიკიძის სახელობის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის კოლექტივმა ამ დღეს გამოუშვა 7.400 წყვილი ფეხსაცმელი და ხუთწლედის ფონდში შეიტანა 7 ათასი მანეთი.

აფხაზეთის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა გუშინ გამომუშავებული 702 ათასი მანეთი მთლიანად ხუთწლედის ფონდში ჩარიცხეს.

## ახალციხელთა ფერმებში

ახალციხე. (საკ. კორ.). რაიონის მშრომელებმა წარმატებით ჩაატარეს შაბათობა, რომელშიც ათასობით მშრომელი მონაწილეობდა. განსაკუთრებით ისახელეს თავი მეცხოველეებმა, მათ ვადაზე ადრე შეასრულეს პირველი კვარტალის დავალება. რძის მიყიდვის გეგმა შესრულებულია 161 პროცენტით, ხორცისა — 105,5, კვერცხისა — 125 პროცენტით. მეორე კვარტალის 12 დღეში ერთი თვის დავალებაც გაანაღდეს, აწარმოეს დიდძალი პროდუქტები.

ახალციხელმა მეცხოველეებმა რაიონის სხვა მშრომელებთან ერთად პირველი ლენინური შაბათობის დღე — 12 აპრილი დამკვრელურად გამოაცხადეს. მათ აქტიური მონაწილეობა მიიღეს საზოგადოებრივი პირუტყვის ფერმების, სასოფლო გზებისა და მოედნების კეთილმოწყობაში, სოფლის გამწვანებაში.

□

# ახალგაზრდობის წვლილი

წითელწყარო. (საკ. კორ. ტელეფონით). გუშინ დილიდანვე რაიონის 4.000-ზე მეტი მშრომელი აქტიურად ჩაება კომუნისტურ შაბათობაში. სამრეწველო საწარმოთა მუშები ენერგიულად მუშაობდნენ, რომ ხუთწლედის ფონდში საპატიო წვლილი შეეტანათ. წითელწყაროს მოსწავლე ახალგაზრდებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ქალაქის ქუჩების გასუფთავებასა და გამწვანებაში. 20.000-მდე ნერგი დაირგო რაიონის ცენტრსა და სოფლებში.

მეცხოველეობის ფერმებში მუშაობა მთელი ძალით იყო გაჩაღებული. იმატა წველადობამ. პირუტყვის სადგომები, მეცხოველეთა საცხოვრებელი ბინები სრულ წესრიგში მოიყვანეს.

შაბათობაში აქტივობით გამოირჩეოდნენ ზემო მაჩხაანის, ჯაფარიძის, ზემო ქედის, არხილოსკალოს, ქვემო ქედის, არბოშიკის და სხვა სოფლების მშრომელები, განსაკუთრებით ახალგაზრდები. სოფლებში წესრიგში მოიყვანეს ქუჩები, დაასუფთავეს საზოგადოებრივ დაწესებულებათა ეზოები, დარგეს ათასობით ფოთლოვანი და წიწვოვანი მცენარეები.

# საშვილიშვილო საქმე

მცხეთა, („კომუნისტის" კორ.). ადრე დილიდანვე შაბათობაზე გამოვიდა თერთმეტ ათას კაცზე მეტი. ისინი მუშაობდნენ ვენახებში, ხეხილის ბაღებში, ხვნაზე, თესვაზე. დაითესა რამდენიმე ჰექტარი ბოსტნეული კულტურები. მაღალნაყოფიერი შრომით თავი გამოიჩინეს მუხრანის, ძალისის კოლმეურნეობების, მცხეთისა და ნატახტრის საბჭოთა მეურნეობების მშრომელებმა. გუშინ გამომუშავებული 6.000 მანეთზე მეტი ჩაირიცხება ხუთწლედის ფონდში.



**აშენებენ შავნაბადას**

დედაქალაქის კომკავშირლებმა და ახალგაზრდებმა გუშინ შავნაბადას მთის მიდამოებში დიდძალი ხე დარგეს, რომ გაიხაროს და იშრიალოს გულის გასახარად.

ფოტო ვლ. გინზბურგისა და გ. გოგოხიასი.

# სლოვაკიის დელეგაცია თბილისში

11 აპრილს საღამოს მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდა სლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სკოლების სამინისტროს დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სკოლების მინისტრი მატეი ლუჩანი. დელეგაციის შემადგენლობაში არიან სამინისტროს საგარეო ურთიერთობის სამმართველოს უფროსი იან ერბენი, ქალაქ ბრატისლავის იან კომენსკის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი ბოგუსლავ ცამბელი, ქალაქ კოშიცეს ტექნიკური სასწავლებლის რექტორი იურაი ბუშა. სლოვაკიის განათლების მოღვაწეებს მოგზაურობაში ახლავს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს მეორე მდივანი იაროსლავ ნიკლი.

დელეგაციასთან ერთად ჩამოვიდნენ სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის მოადგილე ნ. ს. ეგოროვი, ამ სამინისტროს საგარეო ურთიერთობის სამმართველოს განყოფილების უფროსი ა. კ. სელივანოვი.

სლოვაკიის მინისტრს მატეი ლუჩანსა და მის მეუღლეს, მის კოლეგებს აეროდრომზე დახვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი გ. ნ. ჯიბლაძე, მინისტრის პირველი მოადგილე ზ. ი. ფორაქიშვილი, მინისტრის მოადგილე გ. ს. ჭელიძე და სხვები.

12 აპრილს დილით მატეი ლუჩანი და სხვა სლოვაკი ამხანაგები ეწვივნენ უნივერსიტეტის ახალ შენობას. მათთან ერთად იყვნენ სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის მოადგილე ნ. ს. ეგოროვი, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი გ. ნ. ჯიბლაძე და სამინისტროს სხვა ხელმძღვანელი მუშაკები. დელეგაციის წევრებს სასწავლებელი გააცნეს უნივერსიტეტის პრორექტორებმა ს. მ. ჯორბენაძემ და გ. ა. ჭილაშვილმა, პარტიული კომიტეტის მდივანმა დ. კ. ჯიქიამ. სტუმრებმა დაათვალიერეს აუდიტორიები, სასწავლო კაბინეტები, დაესწრნენ ეკონომიური ფაკულტეტის მეორე კურსის მეცადინეობას.

შემდეგ დელეგაცია იყო უნივერსიტეტთან არსებულ გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში.

სლოვაკიის მინისტრი და დელეგაციის სხვა წევრები ეწვივნენ აგრეთვე უნივერსიტეტის ძველ შენობას, სადაც ეცნობოდნენ ჩვენი ქვეყნის ამ უძველეს უმაღლეს სასწავლებელს. სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა უნივერსიტეტის პროფესორმა დ. ო. ლორთქიფანიძემ სლოვაკ სტუმრებს საჩუქრად გადასცა თავისი წიგნი „იან კომენსკი" — დიდი ჩეხი ჰუმანისტის, პედაგოგისა და კლასიკოსის ცხოვრების შესახებ.

სტუმრების პატივსაცემად გაიმართა სადილი.

საღამოს დელეგაცია ესტუმრა უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებსა და მასწავლებლებს. ინსტიტუტის რექტორმა ვ. ი. ქოჩორაძემ მათ გააცნო, თუ როგორ არის დაყენებული სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა. სტუდენტთა მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივმა თავისი ხელოვნება უჩვენა სტუმრებს.

(საქინფორმი).

# ბრძანებულება

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### პროფესორ მ. ი. ჩიქოვანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცი წლის დაკავშირებით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელი, პროფესორი მიხეილ იასონის-ძე ჩიქოვანი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1969 წლის 11 აპრილი.

# ბრძანებულება

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### ამხ. გ. ს. ბიწაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პროკურატურის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცი წლის დაკავშირებით, საქართველოს სსრ პროკურორის პირველი მოადგილე ამხ. გრიგოლ სამსონის-ძე ბიწაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1969 წლის 11 აპრილი.

# სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტა

მიმდინარე წლის 11 აპრილს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ჩინეთის მოსკოვის საელჩოს საშუალებით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს გაუგზავნა შემდეგი ნოტა.

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს უცხადებს შემდეგს.

1964 წლის შემოდგომაზე საბჭოთა კავშირის დელეგაციამ პ. ი. ზირიანოვის მეთაურობით და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციამ ძენიუნ-ციუანის მეთაურობით პეკინში გამართულ ცნობილ კონსულტაციებზე მიაღწიეს ურთიერთშეთანხმებას, რომ ეს კონსულტაციები განეგრძოთ მოსკოვში. საბჭოთა დელეგაციამ იმ დროს ჩინეთის მხარეს შესთავაზა კონსულტაციების განახლების თარიღი — 1964 წლის 15 ოქტომბერი, მაგრამ აღნიშნულ ვადაზე და მოგვიანებით ეს კონსულტაციები არ გაგრძელებულა, და ეს საბჭოთა მხარის მიზეზით როდი მოხდა.

სსრ კავშირის მთავრობამ თავის განცხადებაში, რომელიც ჩინეთის მოსკოვის საელჩოს საშუალებით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას გადასცა მიმდინარე წლის 29 მარტს, გამოთქვა აზრი, რომ საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა უახლოეს დროში განაახლონ 1964 წელს პეკინში დაწყებული კონსულტაციები.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრო წინადადებით მიმართავს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს განაახლონ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობების სრულუფლებიან წარმომადგენელთა კონსულტაციები, და აცხადებს, რომ მზად არის დაიწყოს ეს კონსულტაციები მოსკოვში 1969 წლის 15 აპრილს ან ჩინეთის მხარისათვის მოსახერხებელ სხვა უახლოეს დროში.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრო ითვალისწინებს საკითხის დიდ მნიშვნელობას და გამოთქვამს იმედს, რომ პასუხს მალე მიიღებს".

# კორეელი მეგობრები ეცნობიან...

კორეის პროფკავშირული დელეგაცია, რომელიც მეოთხე დღეა საქართველოში იმყოფება, კვლავ ეცნობა რესპუბლიკის ცხოვრებას. დელეგაციის წევრები კორეის გაერთიანებულ პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის ტენ ჩან ჩერის მეთაურობით ეწვივნენ რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას.

დელეგაცია გაეცნო თბილისის შამპანური ღვინოების ქარხანას. სტუმრებმა რამდენიმე საათი გაატარეს ჩაისწონ ფაბრიკაში. აქ გაიმართა საბჭოთა კავშირ-კორეის მეგობრობის მიტინგი. მიტინგის მონაწილეებს სიტყვით მიმართა კორეის გაერთიანებულ პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ ტენ ჩან ჩერმა.

კორეის პროფკავშირული მოღვაწენი გაეცნენ საკავშირო პროფსაბჭოს შრომის დაცვის სრულიად საკავშირო კვლევითი ინსტიტუტის მუშაობას. მათ დაათვალიერეს მცხეთა.

12 აპრილს დილით კორეელი ამხანაგები თბილისელებთან ერთად მონაწილეობდნენ კომუნისტურ შაბათობაში. (საქინფორმი).



# ლენინის შუქი ჩვენს პლანეტაზე

## ციურიხის ქვირფასი სტუმარი

მრავალი საუკუნეა ტბისაკენ დაქანებულ მწვანე ბორცვებზე დგას ქალაქი ციურიხი. ამაყად აღმართულა მის ცენტრში კათედრალური ტაძრის შპილი. გარეუბნებში მრავალრიცხოვანი ქარხნის მილებიდან კვამლი ცისაკენ მიიწევს, ერთმანეთის მიყოლებით ჩამწკრივებულა 10-14 სართულიანი, მინითა და ბეტონით ნაგები სახლები. ასეთია დღეს ციურიხი — შვეიცარიის მსხვილი ინდუსტრიული, ფინანსური და კულტურული ცენტრი, სადაც ნახევარი მილიონი კაცი ცხოვრობს. ბევრის მომსწრეა ციურიხი. ვინ არ ცხოვრობდა შვეიცარიის ფარგლებს გარეთ სახელგანთქმულ ამ ქალაქში! და მაინც ვინ? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა გადაწყვიტეს ქალაქის მუნიციპალიტეტმა და ციურიხის ისტორიულმა საზოგადოებამ და რატუშის დარბაზებში მოაწყეს გამოფენა „ციურიხის გამოჩენილი სტუმრები (XIX-XX სს)".

დამთვალიერებლებს აქ შეუძლიათ ნახონ სპილენძის დაფა სასტუმრო „ცუმ როტენ შვერტიდან", რომელიც მოგვითხრობს იმის შესახებ, რომ ამ სასტუმროში ჩერდებოდნენ ისეთი გამოჩენილი კომპოზიტორები და მწერლები, როგორიც იყვნენ მოცარტი, გოეთე, ვ. ჰიუგო, ლისტი. აქვეა თეატრალური აფიშა, რომელიც იუწყება, რომ 1855 წლის 23 თებერვალს ოპერა „ტანჰეიზერს" უდირიჟორებს მისი ავტორი ვაგნერი. მაგიდებზე დევს სასტუმროთა სარეგისტრაციო წიგნები, იმ საპატიო სტუმართა სიები, რომლებიც ესწრებოდნენ მსახიობთა, მხატვართა, მწერალთა სხვადასხვა დღესასწაულობებსა და კრებებს. აქ ნახავთ პოლ ვალერის, რაბინდრანატ თაგორის, შტრაუსის, ამუნდსენის, შალიაპინის ავტოგრაფებს, თომას მანის სამუშაო მაგიდის კალენდარს, რომელიც გადაშლილია მწერლის სიცოცხლის უკანასკნელ დღეს (თომას მანი ციურიხში გარდაიცვალა).

ყურადღებას იქცევს ვიტრინა, სადაც მოთავსებულია ეინშტეინის ფორმულებით დაწერილი ფურცლები. ეინშტეინი ციურიხში სწავლობდა და ლექციებსაც კითხულობდა.

მნახველები ყურადღებით ათვალიერებენ ვილჰელმ ლიბკნეხტის, ავგუსტ ბებელის, როზა ლუქსენბურგის, კლარა ცეტკინის ფოტოსურათებსა და წერილებს. ისინი აქ XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში ემიგრაციაში იმყოფებოდნენ ან სოციალისტთა საერთაშორისო კონფერენციებსა და შეხვედრებში მონაწილეობდნენ.

გამოფენაზე მრავლად არის საინტერესო, ხშირად უნიკალური ექსპონატი. მაგრამ თვალი მაინც რაღაცას სხვას, ციურიხში სულ სხვა ადამიანის ყოფნის კვალს ეძებს. იგი აქ აუცილებლად უნდა იყოს, არ შეიძლება რომ არ იყოს!

და აი გალერიის მოსახვევში გამოჩნდა მისი სახე, თვალები, იერი — ლენინის დიდი პორტრეტი! მის ქვემოთ მთელი ვიტრინაა, რომელიც მიძღვნილია ვლადიმერ ილიას-ძის ცხოვრებისადმი ციურიხში 1916-1917 წლებში.

აი პოლიტიკური ემიგრანტის ცხოვრების მძიმე პირობების დამადასტურებელი დოკუმენტი: ლენინის განცხადება პოლიციის სამმართველოსადმი, რომელსაც აზის დამღა „მიღებულია 1916 წლის 28 დეკემბერს, ნომერი 6138". მის გვერდით არის გამოჩენილი შვეიცარიელი სოციალისტის ფრიც პლატენის სათავდებო წერილი, როცა ვლადიმერ ილიას-ძე „სოციალისტური ლიტერატურის ცენტრალურ კრებაში" (ახლა „სოციალური არქივი") ჩაწერეს, იმ ბიბლიოთეკის სააბონემენტო ფურცლები, სადაც ლენინი ბევრს მუშაობდა და არჩევდა სასურველ მასალას თავისი მრავალი ნაშრომისათვის და უწინარეს ყოვლისა ნაშრომისათვის „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია". ერთ-ერთ ფურცელზე ვკითხულობთ: „მე, ულიანოვმა ვლადიმერმა, მცხოვრებმა შპიგელგასეს ქუჩის ნომერ 14 სახლში, 1917 წლის 12 თებერვალს 4 ფვირით მივიღე მარქსის წიგნი „სამოქალაქო ომი საფრანგეთში". ხოლო მის გვერდით დევს თვითონ ეს წიგნი, რომელიც გამოცემულია 1891 წელს („სოციალური არქივი" მას ინახავს სპეციალურ „ლენინურ" დოსიეში).

მეორე საბონემენტო ფურცელში შეტანილია ჟურნალ „იუგენდინტერნაციონალეს" ხუთი ნომერი. როცა ლენინი „ახალგაზრდობის სოციალისტური ორგანიზაციების საერთაშორისო კავშირის" ამ ორგანოს ყურადღებით გაეცნო, მან სპეციალური სტატია დაწერა. მასში ლენინი არა მარტო ანალიზს უკეთებდა ჟურნალს, არამედ იძლეოდა რჩევასაც, თუ როგორ უნდა მოქცეოდნენ „მჩქეფარე, მშფოთვარე, მაძიებელ ახალგაზრდობას", რჩევას, რომელმაც მთელი თავისი ძალა დღემდე შემოინახა.

1917 წლის 15 მარტს (ახალი სტილით) ლენინმა შეიტყო რუსეთში მომხდარი რევოლუციის შესახებ. ამ მომენტიდან შვეიცარიაში ყოფნის ყოველი დღე მას აუტანლად ხანგრძლივი ეჩვენება. რაც შეიძლება მალე პეტროგრადში! და 9 აპრილს ვლადიმერ ილიას-ძე იმავე ფრიც პლატენის დახმარებით გერმანიისა და შვეციის გავლით რუსეთში მიემგზავრება. ამ მგზავრობაზე მოგვითხრობს ოქმი მოგზაურობის პირობების შესახებ, რომელსაც ხელს აწერენ ლენინი, კრუპსკაია და რევოლუციონერ-ემიგრანტთა ჯგუფი, აგრეთვე გამოფენაზე ექსპონირებული ფ. პლატენის წიგნი ამ მოგზაურობის შესახებ.

...რეკავს ზარი, რომელიც გვაუწყებს, რომ რატუშის (მაშასადამე, გამოფენისაც) სამუშაო დღე დამთავრდა, მაგრამ ჩვენ გვიმძიმს მოშორება ლენინური რელიკვიებისაგან, ბლოკნოტში ვიწერთ სტრიქონებს, რომლებიც დაწერილია ლენინის ხელით ხუთ ათეულზე მეტი წლის წინათ, ვუცქერით ლენინის პორტრეტს, რომელიც შვეიცარიელი მხატვრის ფუნჯით არის დახატული.

და კვლავ ციურიხის ხმაურიანი ქუჩები. ირგვლივ ავტომანქანების დაუსრულებელი ნაკადია, ფეხაჩქარებით მიმოდიან ადამიანები, [illegible] ლენინის უყვარდა და პატივს სცემდა ამ [illegible] მშრომელ ადამიანებს. [illegible] საკმარისია გადაიკითხოთ მისი „დასამშვიდობებელი წერილი შვეიცარიელი მუშებისადმი".

შვეიცარიის საზოგადოებრიობის მოწინავე წრეები დიდად აფასებენ ლენინის მეგობრულ გრძნობას შვეიცარიელი ხალხისადმი, მის ისტორიულ როლს. ჯერ კიდევ 1926 წელს ციურიხში ვ. ი. ლენინის ყოფნის აღსანიშნავად (აქ იგი რამდენჯერმე იყო, მაგრამ შედარებით ხანგრძლივად ცხოვრობდა 1916-1917 წლებში) შპიგელგასეს ქუჩის ნომერ 14 სახლის შესასვლელთან გააკეთეს მემორიალური დაფა. მასზე ამოტვიფრულია სიტყვები: „აქ 1916 წლის 21 თებერვლიდან 1917 წლის 2 აპრილამდე იმყოფებოდა ლენინი, რუსეთის რევოლუციის ბელადი".

**გ. დრაგუნოვი,**
საქდესის კორესპონდენტი.
ჟენევა.

# საერთაშორისო ცხოვრება

## უსამართლო ომის წინააღმდეგ

**ნიუ-იორკი, 12 აპრილი. (საქდესი).** „ჩვენ, როგორც ჯარისკაცები, იძულებული ვართ ყველაზე მეტად ვიწვნიოთ ვიეტნამის ფიასკო. ბევრი ჩვენგანი ძალით ჩარიცხეს არმიაში, თვითეული ჩვენგანი ამ მარწუხებშია თავისი სურვილის წინააღმდეგ — და მხოლოდ იმისათვის, რომ განაგრძოს ეს უკანონო, ამორალური და უსამართლო ომი. გვაიძულებენ ვიბრძოლოთ და დავიხოცოთ ომში, რომელიც ჩვენ არ დაგვიწყია და რომელიც აბსოლუტურად არ გვჯერა".

ეს სიტყვები ამოღებულია სამხრეთ კაროლინის შტატის ჯექსონის ფორტში განლაგებული ამერიკელი ჯარისკაცების პეტიციიდან. ფორტის ჯარისკაცებში ამ პეტიციიან ფურცლებს ავრცელებს ომისსაწინააღმდეგო ორგანიზაცია „ვიეტნამის ომის წინააღმდეგ გაერთიანებული ჯარისკაცები".

ჯექსონის ფორტში ეს ორგანიზაცია ამას წინათ შეიქმნა. თავდაპირველად მასში მხოლოდ ზანგები და პუერტორიკოელები შედიოდნენ, ახლა კი ორგანიზაციაში შევიდა თეთრკანიანთა დიდი უმრავლესობა, რომლებიც დარწმუნდნენ ვიეტნამის ომის უსამართლობასა და უპერსპექტივობაში. ორგანიზაციის დროში ჩვეშ დგებიან აგრეთვე ვიეტნამიდან დაბრუნებული ჯარისკაცები.

„ამერიკის არმიაში დაიწყო ფართო ომისსაწინააღმდეგო მოძრაობა, და იგი დიდ გავლენას ახდენს ახალგაზრდა ჯარისკაცების გონებაზე", — განაცხადა გუშინ ნიუ-იორკში გამართულ პრეს-კონფერენციაზე ჯექსონის ფორტის ორგანიზაციის დამაარსებელმა ოცი წლის ზანგმა ჯო მაილზმა.

ჯო მაილზმა, რომელმაც თვითნებურად მიატოვა სამხედრო სამსახური, აღნიშნა: ომისსაწინააღმდეგო მოძრაობა მოწმობს არა მარტო იმას, რომ ჯარისკაცები უნდობლობას უცხადებენ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის სავიეტნამო პოლიტიკას, არამედ აგრეთვე გვიჩვენებს, თუ „რაოდენ დიდი წინააღმდეგობაა ჯარისკაცებსა და მეთაურთა შემადგენლობას შორის".

კითხვაზე: „მართალია თუ არა, რომ ამერიკის არმიაში არსებობს რასიზმი", მაილზმა განაცხადა:

„ამერიკის არმია ყველაზე რასისტული ორგანიზაციაა, როგორიც კი ოდესმე ყოფილა". როგორც მაილზმა განაცხადა, რასიზმი არმიაში იწყება ამერიკის მიწა-წყალზე ჯარისკაცებს შორის მოვალეობის განაწილებით და მთავრდება საბრძოლო ამოცანების შესრულებით ვიეტნამში, როცა ზანგებს უხდებათ ომის ძირითადი ტვირთის გადატანა.

## სოლიდარობა ვიეტნამელ ხალხთან

**პარიზი, 12 აპრილი. (საქდესი).** შრომის საყოველთაო კონფედერაციამ მოუწოდა საფრანგეთის მშრომელებს მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე — 1 მაისი გამოაცხადონ ვიეტნამელი ხალხის გმირულ ბრძოლასთან და იმპერიალიზმის, კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ქვეყნების მშრომელებთან სოლიდარობის დღედ.

აქ გამოქვეყნებულ მოწოდებაში ხაზგასმულია, რომ პირველი მაისის დღესასწაულის გამო საფრანგეთის მშრომელები მიესალმებიან სოციალისტური ქვეყნების ხალხებს, რომლებიც აშენებენ ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციისაგან თავისუფალ ახალ საზოგადოებას.

შრომის საყოველთაო კონფედერაცია — საფრანგეთის ყველაზე დიდი პროფკავშირული ორგანიზაცია — მოითხოვს შეიქმნას პროფკავშირთა ერთიანი ფრონტი ფრანგი მშრომელების მოთხოვნათა დასაცავად, კერძოდ, შემოიღონ ხელფასის მოძრავი სკალა, შეამცირონ სამუშაო დღის ხანგრძლივობა ხელფასის შეუმცირებლად.

## ეროვნული საკითხის გადაწყვეტა სსრ კავშირში

### პრეს-კონფერენცია მოსკოვში

**10 აპრილს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესის განყოფილებამ საბჭოთა და უცხოელი კორესპონდენტებისათვის მოაწყო პრეს-კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა ეროვნული საკითხის გადაწყვეტას საბჭოთა კავშირში.**

საინფორმაციო მოხსენება „ლენინური მიძღვრება ეროვნულ საკითხზე და ეროვნული საკითხის პრაქტიკული გადაწყვეტა სსრ კავშირში" გააკეთა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარემ **ი. ი. პალეცკისმა.** მარქსმა, ენგელსმა და ლენინმა კაცობრიობას უჩვენეს, რომ ხალხთა ნამდვილი თავისუფალი გაერთიანება და მათი თანამშრომლობა შესაძლებელია მხოლოდ ისეთ საზოგადოებაში, სადაც მოისპობა ყოველგვარი ჩაგვრა და განხორციელდება ხალხთა თანასწორობის პრინციპი, თქვა მან. ეროვნულ-კოლონიური საკითხისადმი ლენინის ყურადღება განსაზღვრა უწინარეს ყოვლისა რუსეთის, როგორც მრავალეროვანი სახელმწიფოს თავისებურებამ, სადაც მოსახლეობის 50 პროცენტზე მეტს შეადგენდნენ ცარიზმის მიერ ჩაგრული არარუსი ხალხები, და იმის აუცილებლობამ, რომ ბოლშევიკურ პარტიას განესაზღვრა თავისი ამოცანები და პოლიტიკა ამ დარგში. ამასთან ლენინი, ამუშავებდა რა ეროვნულ-კოლონიურ საკითხს, ითვალისწინებდა მშრომელთა მთელი განმათავისუფლებელი მოძრაობის ინტერესებსა და ამოცანებს.

დიდი ოქტომბრის გამარჯვებით, განაგრძო ორატორმა, დაიწყო მეფის რუსეთის ხალხთა შორის ნამდვილი ძმური ურთიერთობის ერა.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ აიღეს ეროვნულ რესპუბლიკათა მტკიცე კურსი სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა, რაც მათი ჩამორჩენილობის დაძლევის გადამწყვეტი საშუალებაა. რუსეთის სფსრ უდიდესი სამრეწველო ცენტრებიდან მთელი ფაბრიკები გადატანილ იქნა საქართველოში, აზერბაიჯანში, უზბეკეთში, ყაზახეთსა და სხვა რესპუბლიკებში. მოსკოვის, ლენინგრადისა და რუსეთის სხვა სამრეწველო ცენტრების მუშები აქტიურად მონაწილეობდნენ რესპუბლიკების მუშათა კლასის ეროვნული კადრების სწავლებაში, სოფლის მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნაში.

ი. ი. პალეცკისმა აღნიშნა, რომ სსრ კავშირში შედის 15 მოკავშირე, 20 ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, აგრეთვე 8 ავტონომიური ოლქი და 10 ეროვნული ოკრუგი, და ხაზი გაუსვა, რომ ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში — სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში — და უწინარეს ყოვლისა ორი თანასწორუფლებიანი პალატიდან ერთში — ეროვნებათა საბჭოში პრაქტიკულად შედიან ჩვენს დიად საბჭოთა ქვეყანაში მცხოვრები ყველა ეროვნების წარმომადგენლები.

საბჭოთა ხალხების მრავალეროვანი ოჯახის ერთიანობის მკაფიო დადასტურება იყო მშრომელთა დეპუტატების სამხარეო, საოლქო, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნები, რაც მიმდინარე წლის მარტში მოეწყო. ორ მილიონზე მეტი კაცი გახდა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატი. არჩევნებმა ცხადყო საბჭოთა ხალხის მტკიცე ერთიანობა და შეკავშირება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო.

ი. ი. პალეცკისმა აღნიშნა, რომ სსრ კავშირის ეროვნული პოლიტიკის ნიმუში ბევრ რამეში სასარგებლო აღმოჩნდა სოციალისტური ბანაკის ქვეყნებისათვის. დედამიწის ძალიან ბევრი ერის უბრალო ადამიანები, როცა ეცნობიან სსრ კავშირში ეროვნული საკითხის გადაწყვეტას, შენატრიან 130 ერსა და ეროვნებას, რომლებიც ერთ ძმურ სოციალისტურ ოჯახად შეაკავშირა დიდმა ოქტომბერმა.

## ყრილობა გაიხსნა

**ესენი, 12 აპრილი. საქდესის კორესპონდენტი ი. ბორისოვი და ვ. სეროვი იტყობინებიან:**

**დღეს აქ, მუშათა რურის ცენტრში, საზეიმო ვითარებაში გაიხსნა გერმანიის კომუნისტური პარტიის პირველი ყრილობა. საზეიმოდ არის მორთული ესენის უდიდესი დარბაზი, სადაც ათასზე მეტი დელეგატი შეიკრიბა.**

მოხსენება — „მოქმედების ერთობისათვის სახელმწიფოსა და საზოგადოების დემოკრატიული განახლებისათვის ბრძოლაში" — გააკეთა გერმანიის კომუნისტური პარტიის შემქმნელი ფედერალური კომიტეტის წარმომადგენელმა კურტ ბახმანმა.

## მინისტრი აღიარებს

**კანბერა, 12 აპრილი. (საქდესი). ავსტრალიის თავდაცვის მინისტრმა ფეირჰოლმა აღიარა, სამხრეთ ვიეტნამში მოქმედი ავსტრალიის ჯარები ქიმიურ ნივთიერებებს იყენებენ.** პრეს-კლუბში ჟურნალისტთა წინაშე გამოსვლისას მინისტრი ცდილობდა შეემცირებინა ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ ომში ქიმიურ საშუალებათა გამოყენების საფრთხე და თქვა, რომ ეს არის მხოლოდ „ცრემლსადენი გაზი", რომელსაც თითქოს „პოლიცია იყენებს მთელ მსოფლიოში".

◆

## კამბოჯის ნოტა

**პნომპენი, 11 აპრილი. (საქდესი).** აქ გამოაქვეყნეს კამბოჯის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტა, რომელიც შეიცავს პროტესტს ამერიკა-საიგონის ჯარების ახალ პროვოკაციათა წინააღმდეგ კამბოჯის საზღვრებზე.

ამერიკა-საიგონის ჯარები განუწყვეტლივ იჭრებიან კამბოჯის საჰაერო სივრცეში და მის ტერიტორიაზე ნათქვამია ნოტაში. ნოტაში ჩამოთვლილია ინციდენტები, რომლებიც მოხდა 16, 17, 21, 22 და 25 მარტს. ამ ინციდენტების შედეგად დაიღუპა ერთი და დაიჭრა ორი კამბოჯელი. დიდი ზიანი მოუვიდა სასაზღვრო სოფლების ქონებას.

## საღამო პრაღის ვ. ი. ლენინის მუზეუმში

**პრაღა, 11 აპრილი. (საქდესი).** პრაღის ვ. ი. ლენინის მუზეუმში გაიმართა მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელის დაბადების 99 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო. საღამოს დაესწრო ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების რამდენიმე ასეული აქტივისტი — მეცნიერები, პედაგოგები, ხელოვნებისა და კულტურის მუშაკები, ჩეხოსლოვაკიის სახალხო არმიის ოფიცრები.

საღამოს მონაწილეებს უჩვენეს კინოფილმი „ლენინი ოქტომბერში".

## წყალქვეშა კაბელი იაპონიის ზღვის ფსკერზე

**ტოკიო, 12 აპრილი.** საქდესის კორესპონდენტი ვ. ზაცეპინი გვატყობინებს:

**გუშინ იაპონიის ზღვის ფსკერზე ჩადეს მიწისქვეშა კაბელის უკანასკნელი 15 კილომეტრი სიგრძის მონაკვეთი.** ეს კაბელი ერთმანეთთან აერთებს საბჭოთა ნავსადგურს ნახოდკასა და იაპონიის ნავსადგურს ნაოეცუს. დღეს „კდდ" — საერთაშორისო სატელეგრაფო-სატელეფონო კორპორაციამ მოაწყო ახალი კაბელის პირველი გამოცდა. როგორც საქდესის კორესპონდენტს აცნობეს, გამოცდამ წარმატებით ჩაიარა.

იაპონიის ზღვის ფსკერზე ჩადებული წყალქვეშა კაბელის სიგრძე 800 კილომეტრია. საბჭოთა კავშირსა და იაპონიას შორის ახალი წყალქვეშა კაბელის ჩადება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ორი ქვეყნის კომუნიკაციათა საშუალებებს, აგრეთვე იაპონიის კავშირს ევროპის ქვეყნებთან.

კავშირგაბმულობის ახალი ხაზი საექსპლოატაციოდ გადაეცემა მიმდინარე წლის ივნისში.




## ამერიკელ ქალთა პროტესტი

**ვაშინგტონი.** ამერიკის შეერთებულ შტატებში სულ უფრო ფართოვდება საპროტესტო მოძრაობა ვიეტნამის ომის წინააღმდეგ. ამ დღეებში ვაშინგტონში თეთრი სახლის წინ გაიმართა ქალთა საპროტესტო დემონსტრაცია, რომელშიც ორგანიზაციის „ქალებო, იბრძოლეთ მშვიდობისათვის" ხუთასზე მეტი წევრი მონაწილეობდა. მათ მოჰქონდათ ომისსაწინააღმდეგო პლაკატები, ასობით შავი საჰაერო ბურთი — ვიეტნამის უაზრო ომში დაღუპულებზე გლოვის ნიშანი.

ტელეფოტო საქდესისა შანი.

# მსოფლიო დღეს

## ქრონიკა • პრობლემები

## ბატიპალიის ექო

### საყოველთაო გაფიცვა იტალიაში

**რომი, 11 აპრილი. (საქდესი). ზუსტად 14 საათზე ადგილობრივი დროით მთელ იტალიაში დაიწყო საყოველთაო სამი საათის გაფიცვა იმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომ პოლიციამ სისხლში ჩაახშო ქალაქ ბატიპალიაში სახალხო დემონსტრაცია.**

მთელი იტალიის ტერიტორიაზე, ლომბარდიიდან სიცილიამდე ჩაკვდა ეკონომიური ცხოვრება, მუშაობა შეწყვიტეს საწარმოებმა და დაწესებულებებმა, ტრანსპორტმა და ბანკებმა, შეწყდა მეცადინეობა სასწავლებლებში. გაფიცვასთან ერთად იმართება მასობრივი მიტინგები და დემონსტრაციები, რომელთა მონაწილენი სოლიდარობას უცხადებენ ბატიპალიის მოსახლეობას და მოითხოვენ მკაცრად დასაჯონ სისხლისღვრის ორგანიზატორები.

საყოველთაო გაფიცვა იმართება სამივე უდიდესი პროფკავშირული გაერთიანების ერთიანი მოწოდებით და მიმდინარეობს მშრომელთა მაღალი შეკავშირების ვითარებაში.

თავიანთი მძლავრი შეკავშირებული გაფიცვით იტალიელი მშრომელები დღეს უპასუხებენ პოლიციის ძალმომრეობას. ეს გაფიცვა იმართება ახალი ეკონომიური და სოციალური პოლიტიკის მოთხოვნების მხარდასაჭერად, ღათხოვნების წინააღმდეგ, შრომის უფლებისათვის, ჩამორჩენილი სამხრეთი რაიონების ეკონომიური განვითარებისათვის. სწორედ ეს მოთხოვნები იდო საფუძვლად ბატიპალიის მოსახლეობის გამოსვლებს.

თვით ბატიპალიაში დღეს გლოვის დღეა. დღის პირველ ნახევარში გაიმართა მასწავლებელ ტერეზა რიჩარდისა და სტუდენტ კარმინე ჩიტროს დაკრძალვა, რომლებიც პოლიციელთა ტყვიით დაიღუპნენ. სამგლოვიარო სვლაში მონაწილეობა მიიღო იტალიის ყველა რაიონიდან აქ ჩამოსულმა მრავალმა ათასმა მშრომელმა.

## დაქირავებულთა დანაშაული

**მონტევიდეო, 11 აპრილი. (საქდესი). ამ ბოლო ხანს ურუგვაიში მკვეთრად გააქტიურეს დანაშაულებრივი საქმიანობა ფაშისტმა არამზადებმა — ორგანიზაცია „აღმოსავლეთის ანტიკომუნისტური რაზმის" წევრებმა, რომლებსაც ხელმძღვანელობს და აფინანსებს ამერიკის საელჩო. ახლახან ისინი ბარბაროსულად მოექცნენ პროფკავშირულ ხელმძღვანელებს — ურუგვაის კომპარტიის წევრებს სონია გუარნიერსა და ოლგა დე ეგურენს, აგრეთვე ურუგვაელ კომკავშირელ სტუდენტ გრისელი გუარნიერის. მათ თავიანთ მსხვერპლთა ტანზე ფაშისტური სვასტიკა ამოაჭრეს.**

**ბოლო რვა წელიწადში, წერს გაზეთი „პოპულარი", იყო ბევრი შემთხვევა, როცა დაქირავებულებმა სცემეს კომპარტიის აქტიურ მოღვაწეებს, ტყვია დაუშინეს, დანალმეს და ცეცხლი წაუკიდეს მის დაწესებულებებს. იყო ადამიანთა მსხვერპლი. ძალადობის ამ ახალი ტალღით ისინი მიზნად ისახავენ დააშინონ ადამიანები, უარი ათქმევინონ აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობაზე. მაგრამ, ხაზს უსვამს „პოპულარი", საწინააღმდეგო შედეგს ღებენ: ურუგვაის კომუნისტური პარტიის რიგები იზრდება, მაღლდება მისი ავტორიტეტი.**

□

## დავა გრძელდება

**ნიუ-იორკი, 12 აპრილი, (საქდესი).** ცენტრალური ამერიკის ქვეყნების საერთო ბაზარში გრძელდება დავა ბაზრის წევრებს შორის, რასაც მოჰყვა ამ ეკონომიური განვითარების საქმიანობის მოდუნება. კვლავ შემოიღეს წინათ გაუქმებული ბაჟები. ცენტრალური ამერიკის რესპუბლიკების ურთიერთ ვაჭრობაში მკვეთრად დაეცა საქონელგაცვლა ამ რესპუბლიკებს შორის.

# გეტოს ხმები

ის, რასაც ახლა წაიკითხავთ, ბავშვების მიერ არის დაწერილი. ბიჭუნებისა და გოგონების მიერ, რომლებიც ნიუ-იორკში, მის იმ ნაწილში ცხოვრობენ, რომელსაც ჰარლემს უწოდებენ. ნიუ-იორკში ორი ჰარლემია: უბრალო ჰარლემი და ესპანური. „უბრალო ჰარლემში" ამერიკელი ზანგები ცხოვრობენ. ესპანურში — თეთრკანიანი და შავკანიანი პუერტორიკოელები. ეს რაიონები ერთმანეთისაგან არაფრით არ განსხვავდებიან — მათ სხვანაირად „გეტოსაც" უწოდებენ.

მართალია, ამერიკის ოფიციალურ დოკუმენტებში ამ სიტყვას არ ხმარობენ. მათში უფრო აკურატული გამოთქმა გვხვდება: „უპირატესობას მოკლებული რაიონი" და „შიდა ქალაქი". „უპირატესობას მოკლებული" რაიონები ნიუ-იორკში მრავლად არის — სამხრეთ ბრონქსი, აღმოსავლეთ ბრუკლინი, ბაუერი ჯამაიკა, ბედფორდი და ა. შ.

ნიუ-იორკის გეტოზე ბევრი დაწერილა. ხშირად მასზე გონივრულად და გულწრფელად წერდნენ.

მაგრამ ნიუ-იორკის გეტოზე ისე არავის უთქვამს, როგორც ბავშვებს — მის ბინადართ, მის ტყვეებს, მის მსხვერპლთ.

ეს პატარა სასკოლო დავალება წერაში შეკრიბა მასწავლებელმა. კეთილი გულისხმიერი და ნიჭიერმა მასწავლებელმა შეძლო ბავშვების ნდობა მოეპოვებინა. მას მეგობრებიც ეხმარებოდნენ. ისინი ბავშვებს კლასიკურ თემას კი არ აძლევდნენ, როგორც არის, მაგალითად, „როგორ გავატარე ზაფხული", არამედ მათ ბავშვების გრძნობა და აზრი აინტერესებდათ. ამიტომ დაფაზე იწერებოდა ერთადერთი სიტყვა: „ოცნება", ან „ცხოვრება", ან „თოვლი", ან „ბედნიერება".

— ჩვენ რა უნდა დავწეროთ? — კითხულობდნენ ბავშვები.

—შეიძლება დავწეროთ, ვთქვათ...?

— დაწერეთ, რაზედაც გსურთ, ყველაფერზე, რაზედაც შეიძლება დაფიქროთ სიტყვებმა „ბედნიერებამ" ან „ოცნებამ", ან „თოვლმა"...

და როდესაც ერთ საქაღალდეში შეკრებილ იქნა ასობით რვეულის ფურცელი, გასაოცარი ადამიანური დოკუმენტი გამოვიდა, საბრალდებო დოკუმენტი.

მე მხოლოდ ბავშვთა ზოგიერთი ნაწერი ვთარგმნე. წაიკითხეთ ისინი.

ოცნება (რონდა, 7 წლის).

მინდა ვცხოვრობდე სხვა კვარტალში. ჩვენმა პატრონმა თქვა, რომ უკანა ეზოში ადგილს გაგვითავისუფლებს სათამაშოდ. მაგრამ იქ როგორ ვითამაშოთ, როცა ნაგვის გორა დგას. მინდა, რომ სახლი უფრო კარგი იყოს და მეტი საჭმელი მქონდეს. აი ის, რაც მე მინდა.

ოცნება (ლორეინი, 7 წლის).

მე მინდა, რომ მათ თავი დაანებონ ადამიანების კვლას ჩვენი სახლის ირგვლივ მდებარე ქუჩებში. სულ მეჩვენება, რომ მეც მომკლავენ. დედა მეუბნება — წადი, გაისეირნე, ქუჩაში მშვიდად. მე კი ვეუბნები, სეირნობა არ მინდა-მეთქი. მეშინია, რომ მეც მომკლავენ.

ოცნება (კარლოსი, 7 წლის).

ჩვენი სახლის ირგვლივ ყრია მინები, ჯართი, ქაღალდები. და ადამიანებს მუდამ ჩხუბი აქვთ. მე კი მინდა, რომ ადამიანებს უყვარდეთ ერთმანეთი.

თოვლი (ტ., 14 წლის).

თოვლის ფიფქები ცვივა და ქალაქის სიბინძურეს ფარავს. რატომ დნება ასე სწრაფად?

ადამიანები (ოქტავიუს ვაშინგტონი, 15 წლის).

გუშინ მაღაზიაში ვიყავი. იქ პატარა თეთრკანიანი ბიჭუნა შემოვიდა და მოითხოვა: „რძე და ნიგერა". მაღაზიაში მყოფმა ადამიანებმა მას გაკვირვებით შეხედეს, მე ჩემთვის ჩავილაპარაკე: იგი შეცდა, მას უნდა ეთქვა არა ნიგერი, არამედ პიროჟ (ბუტერბროდი — ქ. ბ.) მაგრამ მან კვლავ გაიმეორა: „შეიძლება მომცეთ ნიგერა?" და თან მე მიყურებდა. არავითარი პატივისცემა, არავითარი თავაზიანობა.

ადამიანები (გ. პ. 16 წლის).

როგორც ცნობილია, ნიუ-იორკში არის ორი ათასი ბოროტმოქმედი. გარდა ამისა, ქალაქ ნიუ-იორკში არის ორი ათასი პოლიციელი და მისთანანი. მაგრამ მოდით დავუშვათ, რომ ნიუ-იორკში ადგილი არა აქვს დანაშაულობას და საჭირო აღარ არის დამნაშავეთა დაჭერა. წარმოგიდგენიათ რამდენი კაცი დარჩებოდა უმუშევარი? მოდით ჩამოვთვალოთ თანამდებობები, რომელთა გაუქმებაც იქნებოდა საჭირო. პოლიციელი (ფორმაში), პოლიციელი (სამოქალაქო ტანსაცმელში), მაძებრები; მუშები, რომლებიც სასამართლო შენობებს აგებენ; მოსამართლეები; ვექილები; სტენოგრაფისტები; სასამართლოს დაცვა; მდივნები; დარაჯები; საპყრობილის დაცვა; მცირეწლოვან დამნაშავეთა სახლების დირექტორები და კიდევ ბევრი სხვა.

ახლა მე თქვენ გეკითხებით — განა დამნაშავეები არ უზრუნველყოფენ სამუშაოთი ათასობით ადამიანს? ამიტომ მე მიმაჩნია, რომ დამნაშავეებს უნდა მოეკიდონ მათი წარმატების შესაბამისად.

სიკეთე (ხუან ფ., 16 წლის).

„მათ შესახებ, ვინც სასახლეშია და ძვირფას ტანსაცმელს იცვამს?

ბევრი ადამიანი იმდენს ჭამს და იმდენ რომს სვამს, რომ მოძრაობა აღარ შეუძლია. მაშინ მონები კვლავ აძლევენ მათ საჭმელსა და რომს. დიდი ორკესტრი ტკბილ მუსიკას უკრავს. მე ვხედავ ადამიანს, რომელიც დოლარებს ჰაერში ფანტავს, თითქოს მისთვის სულერთია, ფულებს რომ კარგავს.

მაგრამ მათ გარდა ბევრია უსახლკარო, მშიერი ადამიანი. ადამიანები, რომლებიც იძულებული არიან იმუშაონ დღისითაც და ღამითაც, და მაინც არა აქვთ იმდენი ფული, რომ ოჯახი არჩინონ. უნდა იმუშაონ ბავშვებმაც, რომ მშობლებს, უმცროს ძმებსა და დებს დაეხმარონ. ამ ადამიანებს დახმარება სჭირდებათ, მაგრამ მათ არავინ არ ეხმარება.

ფული (ს. მ., 15 წლის).

ვინმეს რომ საშობაოდ მილიონი დოლარი მოეცა, ძრავიან მანქანას ვიშოვნიდი. და კიდევ იმდენ ბენზინს ვიყიდდი, რომ მთვარემდე მეყოფნოდა. ვიყიდდი აგრეთვე სახლს. დავიწყებ ფულის შეგროვებას, რათა რაიმე საქმე წამოვიწყო. ფული მთელ მსოფლიოს ატრიალებს. ადამიანები კვდებიან, ფული კი არასოდეს არ კვდება. თუ თქვენ ჯიბეში ცოტაოდენი ფული გაქვთ, ეს ნიშნავს იმას, რომ თქვენ ჯერ კიდევ არ მომკვდარხართ.

ოცნება (ხოსე, 7 წლის).

...და კიდევ ეცადეთ მშვიდობას
დაე ნიუ-იორკი იყოს უკეთესი
და კიდევ ეცადეთ მშვიდობას
და რომ არ იყოს სამხედრო სათამაშოები.

ადამიანები (რენდი ე., 7 წლის).

დოქტორი მარტინ ლუთერ კინგი უდიდესი ადამიანი იყო. მას სურდა დახმარებოდა ყველა ღატაკ შავკანიან ადამიანს. იგი ყველგან მოგზაურობდა, რათა დახმარებოდა შავკანიან და თეთრკანიან ადამიანებს შეეწყვიტათ ერთმანეთის კვლა. როდესაც იგი მოკლეს, მეგონა, რომ ვიტირებდი. დამესიზმრა, თითქოს იგი ჩვენს სახლში იყო და საწოლში იწვა. ოთახში უკუნი სიბნელე იყო. და ეს ჩემს სიცოცხლეში არასოდეს არ დამავიწყდება. მე მგონია, რომ კაცი, რომელმაც იგი მოკლა, საპყრობილეში უნდა იყოს. მას კიდევ სურდა ვიეტნამში ომის დამთავრება. მე ვუცქერდი, თუ როგორ დაასაფლავეს იგი შაბათს. ვერ გამიგია, თუ რატომ არ შეუძლიათ იმეგობრონ შავკანიანმა და თეთრკანიანმა ადამიანებმა. მაგრამ ის კი ვნახე, რომ დაკრძალვაზე იყვნენ შავკანიანებიც და თეთრკანიანებიც. ეს არასოდეს არ დამავიწყდება. დასასრული.

დილა (ამალია გ., 14 წლის).

დილით რომ გავიღვიძე, თითქოს თვალებზე ბედნიერების სათვალე მქონდა გაკეთებული. დავინახე ერთი ქალი, და მან მითხრა, რომ მას ქალბატონი ჯილბერტი ჰქვია. მან ნაყინი და სხვადასხვა ნივთები მოიტანა, მაგალითად, ფეხსაცმელი. მე კიდევ ცაში დავინახე ანგელოზი. ქალბატონი ჯილბერტი ყველაფერში მეხმარებოდა. მან მითხრა, რომ მე წარმომედგინა ყველაფერი ის, რაზედაც ვფიქრობდი. მე ბევრი რამ წარმოვიდგინე. ნამცხვარი, ნაყინი და კიდევ „სათამაშოებით გართული ბავშვები". შემდეგ სათვალე დამივარდა. დავინახე, რომ ქალბატონმა ჯილბერტმა ყველაფერი რაც კარგი იყო წამართვა, ანგელოზი ეშმაკად იქცა, ხოლო ნაყინი დადნა. ფეხსაცმელი გაიხვრიტა, ცა კვამლად იქცა, და ნამცხვარი გაქრა. მე მიყვარდა ჩემი ბედნიერების სათვალე.

ადამიანები (რ. ს., 16 წლის).

ჩვენ შავკანიანები ვკვდებით,
ჩვენ შავკანიანები ვტირით,
მე შავკანიანი ვტირი,
მაგრამ თეთრკანიანები ტირიან,
როცა შავკანიანები კვდებიან?
რატომ მკლავენ ისინი მე?
ჰო, მართლა! ახლა კი ვიცი.
ჩვენი კანი შავია, და გვინდა თავისუფლება.
დიახ, შავკანიანი ხარ შენც და მეც. ამას ისინი ხედავენ.
მაგრამ ჩვენს სულს თუ ხედავენ?
ამას ისინი არც შენში ხედავენ და არც ჩემში.
მაგრამ იგი არ კვდება.

ვინ იცის უკვე მერამდენჯერ ვკითხულობ ამ სტრიქონებს, რომლებიც ბავშვების ხელით არის დაწერილი, და ვგრძნობ, თუ რა უაზრო იქნებოდა ნებისმიერი სიტყვები, თუნდაც ყველაზე გულწრფელი და ძლიერი, იმ სიტყვებთან შედარებით, რომლებიც გეტოს ბავშვებმა თქვეს.

„რა ელით მომავალში მათ და მათს თანატოლებს მთელ ამერიკაში? ტრაგიკული და ლოგიკური კითხვაა. დღემდე პასუხი ერთია — არაფერი... ისინი დარჩებიან გეტოს მახეში, იმ სისტემის მახეში, რომელიც თითებით ყურდაცული არსებობს..."

ჩემი კორესპონდენციის დასასრულს ვბედავ მხოლოდ ამ სიტყვების დაწერას. ისინი ეკუთვნის მასწავლებელს, ვინც გეტოს ბავშვთა ეს ხმები შეკრიბა.

**ჰ. ბოროვიკი,**
ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტი.
ნიუ-იორკი.

**ესეც შენი „თავისუფალი სამყარო"!**



# ლენინი შაბათობაზე

**გიორგი სამხარაძე**

სულში ჩიტივით შემოფრენილი
დილა მოადგა ქართულ მთა-გორებს.
მიმზერს სურათი: ბრძენი ლენინი
როგორ ზიდავდა ვეება მორებს.

მის ნამოქმედარს სინათლე ადგა,
მის მხილველს ჯავრი ვით
დაიმონებს!
ჩვენს დიდ სამშობლოს, სულ
ახალგაზრდას,
იგი მატებდა ძალას და ღონეს.

იგი აწრთობდა ომგავლილ მასებს
და უშუშებდა ქარხნებს იარებს,
მისი ფიქრები სიცოცხლით სავსე
რაზმავდა ჩვენს გმირ ადამიანებს.

მზე მისი ხელით შუქმონანთები.
აქრობდა წყვდიადს, დარდსა და
სევდას...

ის წინ მიქროდა არწივის
ფრთებით
და ხალხთან ერთად ზღუდეებს
სძლევდა.

მან დაარბია ღრუბლები მქისე,
ოქტომბრის ქარში აღსდგა მნათობი,
ის ჩვენთა გულში შენივთდა ისე,
როგორც ფოლადი ბრძმედში
ნაწრთობი.

მან მოგვაშორა ათას წლის
ჯვარცმა,
გაგვიხსნა ბაგე — გრძნობის
სამხელი.
მთელ სამყაროში ამ ერთმა კაცმა
მზისკენ ასტყორცნა ხალხის სახელი.

# დიდება შრომას!



**ვახტანგ გორგანელი**

ქებათა ქება ვაჟკაცის შრომას,
ვინც მართლა ქვეყნის ეწევა
უღელს
და სიყვარულის უსაზღვრო
წვდომას
ბედნიერებას კარებს რომ უღებს.

მას დედის ძუძუ შეერგოს
შხამად,
ვისაც სურს მიწა დაფაროს შიშმა.
დე, თოფი მხოლოდ ისროლოს
მამამ
ამ ქვეყნად ვაჟის გაჩენის ნიშნად.

რა საჭიროა ელვა და ტეხა,
ვის რას მოუტანს ღრუბლები მრუმე?
დე ჭურვი მხოლოდ ესროლოს
გლეხმა
გასაფანტავად საავდრო
ღრუბელს.

დიდება შრომას, შრომის
სუფევას,
შრომის ბარაქას გაშლილს
გორებად,
რომ ჰედავს ხალხის
თავისუფლებას
და დგას სიცოცხლის
ხარაჩოებთან!

სამშობლოვ ჩემო, დიდება
შენდა,
ყველა სიკეთის შენ ხარ სათავე.
კაცთა გულები შეჰკარი ერთად
და სიყვარულად აათავთავე.

სანამ ეგ შენი ძახილი მოგდევს,
სანამ ხარ ჩვენი ფარ-მუზარადი,
არ დაიღლება შრომაში მოყმე,
ნურც დაღლილიყოს აწ და
მარადის.

# ქართული ფოლკლორის დიდი ამაგდარი

**მიხეილ ჩიქოვანის დაბადების 60 წლისთავი**



ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, პროფესორ მიხეილ ჩიქოვანს 60 წელი შეუსრულდა.

ზამთარ-ზაფხულ მოგზაურობამ საქართველოს მთასა და ბარში, ხალხური მარგალიტების ძიებამ და თითქოს თვით ხალხის სიბრძნემაც შეუნარჩუნა მას ახოვანება, ახალგაზრდული იერი. დავით ყრუაშვილმა — დათა ბაბუამ დედის მხრივ — ზღაპრების, ლექსებისა და შაირების გუდის მფლობელმა, ოსტატმა მთქმელმა და საუცხოო მეჩონგურემ, ენამზიანმა დედამ ცაცუ ყრუაშვილმა და მამამ — იასონ ჩიქოვანმა „მშობლიური ცხუკუშერის ერთ-ერთმა თავკაცმა, საგმირო თქმულებათა შესანიშნავმა მცოდნემ სიყრმიდანვე შეაყვარეს ოთხ ბავშვთაგან ერთადერთ ძეს—მიხეილს ეროვნული საუნჯე.

ხელმოკლე ოჯახის შვილი მიხეილ ჩიქოვანი რთული, შინაარსიანი და ლამაზი გზით მოვიდა მეცნიერებაში. პირველდაწყებითი სწავლა მისი მშობლიური ცხუკუშერიდან სამი კილომეტრით დაშორებული სოფლების — ღვირიშისა და ნაკურალეშის არასრულ საშუალო სკოლაში მიიღო. 1925 წელს ცაგერის საშუალო სკოლა დაამთავრა. ამავე წელს ქაბუკმა მშობლიურ ლეჩხუმში გადადგა პირველი პედაგოგიური ნაბიჯები. იქვე დაწერა მისი ადრინდელი წერილები და ნარკვევები, თბილისის ჟურნალ-გაზეთებში რომ იბეჭდებოდა.

1929 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ენისა და ლიტერატურის დარგზე ჩაირიცხა. აქ ეზიარა იგი მეცნიერების სხვადასხვა დარგს მშობლიური უნივერსიტეტის დამაარსებელთა და გამოჩენილ მეცნიერთა — ივანე ჯავახიშვილის, კორნელი კეკელიძის, გიორგი ახვლედიანის, აკაკი შანიძის, შალვა ნუცუბიძის, დიმიტრი უზნაძის, მიხეილ ზანდუკელის, ვახტანგ კოტეტიშვილის, სიმონ ყაუხჩიშვილის, არნოლდ ჩიქობავას, ვარლამ თოფურიას და სხვათა ბრწყინვალე ლექციებით.

სტუდენტობის წლებში მოისმინა მან თბილისში სტუმრად ჩამოსული ნიკო მარისა და ივანე მეშჩანინოვის ლექციები ენათმეცნიერების, ლიტერატურის, არქეოლოგიის და სხვა პრობლემებზე. ასპირანტურის წლები (1933-1935) მიხ. ჩიქოვანმა ლენინგრადში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენისა და აზროვნების ინსტიტუტში გაატარა. 1936 წელს მიხეილ ჩიქოვანი სათავეში ჩაუდგა შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილებას და დღემდე ამ განყოფილების უცვლელი გამგეა. აქედან იწყება მისი დიდი შემოქმედებითი ძიება — სამეცნიერო-ფოლკლორული ექსპედიციების ხელმძღვანელობა, ხალხური სიტყვიერების კურსის კითხვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, კანდიდატისა და დოქტორის სამეცნიერო ხარისხების მოპოვება...

ვრცელი და მრავალფეროვანია მიხეილ ჩიქოვანის სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. მიხ. ჩიქოვანი ავტორია მრავალი სამეცნიერო ნაშრომისა — ქართულ, რუსულ და უცხოურ ენებზე. აქედან ბევრი ცალკე წიგნად არის გამოცემული. არ არის ფოლკლორისტიკის თითქმის არც ერთი უბანი — ზოგადთეორიული თუ კონკრეტულ-პრაქტიკული, სადაც მკვლევარს თავისი კვალი არ დაემჩნიოს. ტექსტოლოგიური ძიებანი, ეპოსმცოდნეობა, ზღაპარმცოდნეობა, ლირო-ეპიკისა და ლირიკის დარგები, მცირე ჟანრები, ხალხური დრამა, ხალხური შემოქმედებისა და ლიტერატურის ურთიერთობა — აი პრობლემათა წყება, რასაც გატაცებითა და წარმატებით სწავლობს და იკვლევს მიხეილ ჩიქოვანი.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მიხეილ ჩიქოვანის როლი ეპოსმცოდნეობის განვითარებაში. ამირანის თქმულების ვერსიებისა და ვარიანტების, მიხეილ ჩიქოვანის პუბლიკაციამ, ამ უძველესი კლასიკური საგმირო-მითოლოგიური ძეგლისადმი მიძღვნილმა მისმა მონოგრაფიამ და ნარკვევებმა მსოფლიო აღიარება ჰპოვა. ამ ნაშრომებს მაღალი შეფასება მისცეს როგორც საბჭოთა, ისე უცხოელმა მკვლევარებმა, კერძოდ კორნელი კეკელიძემ, სიმონ ყაუხჩიშვილმა, ლეონ მელიქსეთბეგმა, იური სოკოლოვმა, მარკ აზადოვსკიმ, ნიკოლოზ ანდრეევმა, ვიქტორ ჟირმუნსკიმ, ელიზარ მელეტინსკიმ, ვიქტორ სიდელნიკოვმა, ვასილ აბაევმა, უნგრელებმა — იმრე ტრენჩერ-ვალდაპფელმა და მარტონ იშტვანოვიჩმა, ინგლისელმა დევიდ ლენგმა, ფრანგმა ნ. სალიამ, ჩეხმა იაროსლავ იედლიჩკამ. მიხ. ჩიქოვანს ეკუთვნის აგრეთვე პუბლიკაცია და გამოკვლევები ქართული ხალხური ეპოსის ისეთი ძეგლებისა, როგორიც არის „ხალხური ვეფხისტყაოსანი", „ეთერიანი" და სხვ.

ხალხური ბალადებისადმი მიძღვნილ მიხ. ჩიქოვანის გამოკვლევას გამოეხმაურნენ უცხოელი მკვლევარნი — იუგოსლაველი ანტე ნაზორი, რუმინელი ადრიან ფოკი, უნგრელი ლაიოშ ვარდიაში.

მნიშვნელოვანია მიხეილ ჩიქოვანის როლი ხალხური ზღაპრების პუბლიკაციისა და შესწავლის საქმეში. მსოფლიოს ხალხთა მრავალ ენაზე ითარგმნა მიხეილ ჩიქოვანის შედგენილი კრებული ქართული ხალხური ზღაპრებისა. მკვლევარმა განახორციელა ქართული ფოლკლორის გასული საუკუნის მოამაგეთა შეკრებილი მასალების გამოცემა. მისი რედაქციით გამოიცა პეტრე უმიკაშვილის უმდიდრესი კოლექცია ხალხური სიტყვიერების ნიმუშებისა. ნაწილი ამ კოლექციისა, როგორც ცნობილია, გამოსცა ფილიპე გოგიჩაიშვილმა. ახლა კი ხელთა გვაქვს ამ უძვირფასესი კოლექციის ოთხტომეული. მიხეილ ჩიქოვანმა გამოსცა აგრეთვე ხალხური შემოქმედების დიდი მოამაგის თედო რაზიკაშვილის ფშავსა და თუშეთში შეკრებილი პოეზიის ნიმუშები. მისივე რედაქციით 50-იან წლებში დაიბეჭდა ანა ღვინიაშვილის შედგენილი თედო რაზიკაშვილის ზღაპრების ორტომეულის მეორე გამოცემა.

მიხეილ ჩიქოვანი არის ერთ-ერთი ინიციატორი და ხელმძღვანელი ქართული ხალხური პოეზიის რვატომეულის შედგენისა. ეს დიდი ეროვნული საქმე შესრულებულია საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილებაში.

ამაგდარი მეცნიერის საზრუნავი სიყრმის წლებიდანვე იყო სტუდენტი ახალგაზრდობისათვის ქართული ფოლკლორის სახელმძღვანელოს შექმნა. ამ დიდი საქმის პირველ ცდას წარმოადგენს 1938 წელს გამოცემული „ქართული ფოლკლორი". შემდეგ წლებში მან არაერთხელ შეავსო და შეასწორა ეს წიგნი. ახლა ხელთა გვაქვს სქელტანიანი ნაშრომი „ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია". მასში თანმიმდევრულად არის დასაბუთებული ქართული ფოლკლორის ძირითადი ჟანრები.

მიხეილ ჩიქოვანი თანაავტორია კოლექტიური ორტომეული ნაშრომისა „ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება". ეს ნაშრომი უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისთვის არის განკუთვნილი. მიხეილ ჩიქოვანი წარმატებით იკვლევს ხალხური შემოქმედებისა და ლიტერატურის ურთიერთობის საკითხებს. ამ თვალსაზრისით შეისწავლა მან შოთა რუსთაველის, დავით გურამიშვილის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, იაკობ გოგებაშვილის და სხვათა შემოქმედება. მიხეილ ჩიქოვანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორისტიკის კათედრის პროფესორია. მან თავისი შთამაგონებელი პედაგოგიური მოღვაწეობით, ფოლკლორულ-შემკრებლობითი მუშაობით, დაუზარებელი ტექსტოლოგიური ძიებით, თავაუღებელი კვლევით ბევრი სანდო მკვლევარი და მოამაგე შესძინა ქართულ ხალხურ შემოქმედებას. მიხეილ ჩიქოვანი არ იფარგლება მხოლოდ ფოლკლორული საკითხებით. მან საინტერესო ნარკვევები მიუძღვნა ენათმეცნიერების, ტოპონიმიკის, ეთნოგრაფიის, ლიტერატურისა და ფოლკლორისტიკის სხვა მოსაზღვრე დისციპლინების აქტუალურ საკითხებს.

მიხეილ ჩიქოვანი მრავალი რესპუბლიკური, საკავშირო და საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმის მონაწილეა. მისმა ნაშრომებმა მოწონება დაიმსახურა ანთროპოლოგთა და ეთნოგრაფთა VII და VIII მსოფლიო კონგრესებზე მოსკოვსა და ტოკიოში, ორიენტალისტთა XXVI კონგრესზე დელიში; კლასიკური ფილოლოგიის მსოფლიო კონგრესზე ბუდაპეშტში.

მიხეილ ჩიქოვანი დიდ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევა. იგი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფოლკლორის საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარეა; იგი არის სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილების ფოლკლორის სამეცნიერო საბჭოს წევრი, ვიცე-პრეზიდენტი საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის სამეცნიერო საზოგადოებისა; საპატიო წევრ-კორესპონდენტი საერთაშორისო ეპოსის ლონდონის სემინარისა. მიხეილ ჩიქოვანი მრავალი სამეცნიერო საბჭოს და სარედაქციო კოლეგიის წევრია. შეუძლებელია საგაზეთო წერილში აღინიშნოს ყველაფერი ის, რაც ამ საოცრად პროდუქტიულმა მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ 40 წლის მანძილზე გააკეთა. და ალბად მაპატიებს ჩემი კოლეგა, ბევრი რამ უთქმელი რომ დამრჩა.

მრავალფეროვანი შემოქმედებითი მკვლევარისა და საზოგადო მოღვაწის საქმიანობას აფასებს ჩვენი მთავრობა. მიხეილ ჩიქოვანი დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის" ორდენით, მედლებითა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით.

გამოჩენილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს მიხეილ ჩიქოვანს კიდევ დიდი მანძილი აქვს გასავლელი. ახლა მას ცხოვრებისა და შემოქმედების შემოდგომა დაუდგა. ჩვენ გვჯერა, ეს შემოდგომა და ზამთარიც ისევე ბარაქიანი იქნება, როგორც მისი ცხოვრების გაზაფხული და ზაფხული იყო.

**ქსენია სიხარულიძე,**
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორისტიკის კათედრის გამგე, პროფესორი.



# ერთაქტიანი ბალეტების საღამოზე

**თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ახალი სპექტაკლი**

თბილისის მაყურებელი განებივრებული არ არის საბალეტო პრემიერებით. წლები გადის — ახალი ბალეტები კი თითზე ჩამოსათვლელია. ბუნებრივია, ამას მოსდევს თეატრის საბალეტო დასის საოპერო ჟანრისადმი დაქვემდებარებულ კომპონენტად გადაქცევა. ამას სხვაც მოჰყვება — საცეკვაო და საბალეტმეისტერო ოსტატების ძიებათა შესუსტება, საკავშირო ქორეოგრაფიულ ასპარეზობაზე ოდესღაც სახელგანთქმული ქართული ქორეოგრაფიული სკოლის გაფერმკრთალება, ისეთი შთაბეჭდილების შექმნა, თითქოს ხელოვნების ეს ჟანრი უკვე აღარ გვაღელვებს.

წინ კი მსოფლიო ქორეოგრაფიული სიმპოზიუმია. 11-დან 23 ივნისამდე მოსკოვში ეწყობა ბალეტის ახალგაზრდა მსახიობთა საერთაშორისო კონკურსი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს 19 სახელმწიფოს 80-ზე მეტი მოცეკვავე. დიდ იმედებს ამყარებენ მოსკოველ და ლენინგრადელ მოცეკვავეებზე, აგრეთვე ტალინის, რიგის, მინსკის, კიევის, პერმის საბალეტო კოლექტივებში აღზრდილ ახალგაზრდობაზე და, როგორც სსრ კავშირის კულტურის მინისტრმა ე. ფურცევამ საბჭოთა და უცხოელ ჟურნალისტთა პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, შუა აზიის რესპუბლიკების საბალეტო ოსტატებზეც.

„კონკურსის გეოგრაფია შესაძლოა კიდევ გაფართოვდეს", — თქვა მან და ეს ალბათ ასეც იქნება, მაგრამ შეეხება თუ არა ეს გაფართოება თბილისის საბალეტო დასს?

ყოველივე ეს სულ არ გვაძლევს უფლებას ხელი ჩავიქნიოთ ქართული ბალეტის ახალგაზრდა ოსტატების უნარიანობაზე. ჩვენ ბევრი ნიჭიერი მოცეკვავე გვყავს და მათ გამოსაჩენად აკადემიურ-სტუდიურ სწავლასთან ერთად ახალი საბალეტო სპექტაკლების სიხშირეც დაგვეხმარება.

პრემიერაზე ვნახეთ აზრობრივ-პლასტიკურობით ერთმანეთისაგან განსხვავებული ოთხი ბალეტი: ბახის საორღანო პიესა „პასაკალია" — გედიკეს საორკესტრო ტრანსკრიპციით, პ. ჩაიკოვსკის უვერტიურა-ფანტაზია „რომეო და ჯულიეტა", საქართველოს სსრ სახალხო არტისტის ს. ცინცაძის მიერ ოსტატობით ორკესტრირებული ანრი სოგეს „მოხეტიალე კომედიანტები" და ნ. რიმსკი-კორსაკოვის ვირტუოზული „ესპანური კაპრიჩიო".

მიუხედავად მუსიკალურ-ქორეოგრაფიული განსხვავებულობისა, ქართულმა საბალეტო დასმა აზრითა და გრძნობებით შეკრული ერთი მთლიანი სპექტაკლი წარმოგვიდგინა, და ამაშია უპირველეს ყოვლისა ავტორის — ბალეტმეისტერ გულბათ დავითაშვილის დიდი დამსახურება.

ქართველ მაყურებელს კარგად ახსოვს გ. დავითაშვილის პირველი დადგმა თბილისში („ექიმი აიბოლიტი"). ამის შემდეგ იგი მუშაობდა ბაქოში, აზერბაიჯანის საბალეტო დასის მთავარ ბალეტმეისტერად, სვერდლოვსკში, ტაშკენტში. მან ბევრი საინტერესო სპექტაკლი დადგა, მათ შორის ლენინგრადში ფართოდ აღიარებული „ბოლერო" რაველის მუსიკაზე, რომელსაც მაღალი შეფასება მისცა პრესამ.

და აი ოცი წლის შემდეგ მშობლიურმა თეატრმა კვლავ მოიწვია გ. დავითაშვილი, რომელიც იმედია კვლავაც ითანამშრომლებს ჩვენში.

საპრემიერო სპექტაკლები გამოირჩეოდნენ ემოციურობითა და აზრიანობით, სახვითი პლასტიკურობითა და ქორეოგრაფიული პროფესიულობით. თვითეულ კომპოზიციაში ჩანს ბალეტმეისტერის გრაფიკულ-ფერწერითი ნიჭი, მისი უნარი უჩვენოს მოცეკვავეს პლასტიკური მიზანსცენა.

გ. დავითაშვილმა მფეთქავი ცეკვა თანმიმდევრულად შეამზადა თხრობითი პლასტიკით და მოცეკვავის ტექნიკურ ვირტუოზულობას საფუძვლად დაუდო მსახიობური გააზრებულობა. ამან წარმოშვა სანახაობითი ლოგიკა, გრძნობისა და აზრის ერთიანობა, ამ შეერთებით წარმოქმნილი ექსპრესია. მიუხედავად ფორმისა და შინაარსის ამგვარი შეხამებისა, დავითაშვილის ქორეოგრაფიული ჭვრეტა მაინც მნიშვნელოვნად განსხვავდება ბახის ჩანაფიქრისაგან. სპექტაკლის ნახვამდე ჩვენ გვეგონა, რომ ბალეტმეისტერი უშუალოდ გაჰყვებოდა კომპოზიტორის მიერ დაწყებითი რვატაქტიანი თემის თანდათანობით ვარირებას, ჯერ მცირე ქორეოგრაფიულ ჯგუფს აჩვენებდა, მერე გაზრდიდა და ბოლო ოცდამეოთხე ვარიაციაში სცენის მოედანს ქორეოგრაფიული პოლიფონიით აავსებდა. გულბათ დავითაშვილმა კი სხვა გზა აირჩია. მან ფარდის ახდისთანავე თვალის ერთი შევლებით აჩვენა ყველა ის, რაც მუსიკაში თანდათან ძალას იკრებს, და უკვე მათ შიგნით დაიწყო დანაწევრება, ჯერ ჯგუფურ ვარიაციებად დაშალა და შემდეგ ფინალურ კომპოზიციად შეაერთა, რათა ეთქვა ადამიანისადმი მიძღვნილი ჰიმნი.

„პასაკალიის" — ადამიანის სამყაროს განმადიდებელი სულის დახატვა-დანახვაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს როგორც ბალეტმეისტერის მხატვრულ-კომპოზიციური ძერწვის ნიჭმა, ისე მთავარმა მოქმედმა პირებმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტებმა ირინე ჯანდიერმა და ბექარ მონავარდისაშვილმა. აგრეთვე ამავე როლების მეორე შემსრულებლებმა ლ. ნადარეიშვილმა და ვ. გუნაშვილმა.

თუ ბახის მუსიკის დავითაშვილისეული ქორეოგრაფიული ინტერპრეტაცია მაინც იწვევს მნახველთა აზრის სხვადასხვაობას, ერთსულოვნება არსებობს ჩაიკოვსკის „რომეო და ჯულიეტას" ცეკვით გასცენიურებაში. გ. დავითაშვილმა ახალი პლასტიკურ-გამომსახველობითი ილეთებით ამეტყველა უსაზღვრო სიყვარულით ბედნიერი ორი მიჯნურის გული. ც. კოპიცა — ჯულიეტა ჰაეროვანი და შთაგონებით აღსავსეა, მისი მოძრაობა რბილი, ალერსიანი და მოკრძალებულია, ილეთი მეტყველი. ც. კოპიცამ ჯერ კიდევ სასწავლო სტუდიაში გამოავლინა ქორეოგრაფიული აზროვნების პოტენცია და სასიამოვნოა, რომ ამ რთულ და ნიჭიერად დადგმულ სპექტაკლშიც როლი კარგად განასახიერა. სასიხარულოა ზ. ამონაშვილის წარმატება. მისი რომეო პოეტურია და ვაჟკაცური, რაინდული გაბედულობით აღსავსე და კეთილშობილური მანერით დაჯილდოებული. ამასთან ერთად იგი მშვენიერი პარტნიორია, კარგად მიჰყავს ცეკვითი დიალოგი და ტექნიკური ხერხების ფლობით ადვილად აღწევს ქორეოგრაფიულ-პლასტიკურ კანტილენურობას. თქმა არ უნდა, ზ. ამონაშვილი ქართული საბალეტო დასის შენაძენია და ახლა მასზეა დამოკიდებული (ბალეტმეისტერებზეც) მომავალი შემოქმედებითი წარმატებების მომრავლება. შემდეგ სპექტაკლებში მთავარი როლები წარმატებით შეასრულეს აგრეთვე ც. ბალანჩივაძემ (ჯულიეტა) და ა. პოლოსოვმა (რომეო).

შთამბეჭდავად ჩაატარეს რომეო — ამონაშვილმა და ტიბალდი — ტერეშჩენკომ ორთაბრძოლა. ს. ტერეშჩენკო აქტიორული გარდასახვის მკვეთრ უნარს ავლენს. მათს ანსამბლს მხარს აძლევს მერკუციოს როლის კარგი შემსრულებელი ი. პოდგორსკი. საერთო წარმატებას კი მაინც ბალეტმეისტერის ქორეოგრაფიული აზროვნება განსაზღვრავს. გ. დავითაშვილმა გვერდი აუქცია შტამპად ქცეულ დუელურ რეჩიტატივებს და ცეკვითი ბასრი დიალოგით ახლებურად გვიჩვენა ორი მოსისხლე გვარის მძვინვარე, სამკვდრო-სასიცოცხლო შებმა. დახვეწილი და სახოვანი გამოუვიდა დამდგმელს ჯულიეტას სიზმარი, აგრეთვე თითქმის ყველა ეპიზოდის დასაწყისი და დამამთავრებელი ემოციური წერტილი.

ფრანგი კომპოზიტორის ანრი სოგეს ერთაქტიანი ბალეტის „მოხეტიალე კომედიანტების" წარმატება იმის ნათელი მაგალითია, თუ რამდენად ცდებიან ისინი, ვინც უსიუჟეტო, აბსტრაქტულ დეკოროიზაციული ბალეტების წინააღმდეგი არიან. გ. დავითაშვილმა შემთხვევით არ აირჩია დემოკრატიულ-ხალხური იდეებით სავსე მუსიკალური მასალა და ასეთივე ქორეოგრაფიული სახე მისცა. ბალეტმეისტერმა და მსახიობებმა ერთობლივი მუშაობით შექმნეს სანახაობა, რომელიც ადვილად ჩასწვდა დარბაზში მყოფთა გულს. ვფიქრობ, ყველამ გაიზიარა სიხარული და სევდა სცენაზე მოქმედი აქტიორებისა, რომელთა როლები გამოკვეთილია პლასტიკური მკაფიოებითა და რეჩიტატიულ-ცეკვითი ილეთებით. ყველას — მცირე თუ დიდი როლის შემსრულებელს — გაგებული ჰქონდა ცეკვითი პროგრამის სიღრმე. სხარტად, ელასტიკურად და ექსცენტრულად ჩაატარა თვალთმაქცის ცეკვითი პარტია გ. ქუქულაძემ, „ზამბარული" სისხარტითა და საამო სინაზით იცეკვა რ. სვირინამ, იუმორისა და დრამატული გარდასახვის ძალა გამოავლინა თოჯინას პარტიაში რ. იოსამამ, ანსამბლურობით და რიტმის შერწყმით იცეკვეს სიამულმა ტყუპებმა ს. კრამცოვამ და ლ. პრასოლოვმა, ყოფით-ჟანრული მანერით აავსეს ჟამბაზების სახე დამსახურებულმა არტისტმა ნ. აბდალაძემ და ვ. ქაჩიბაიამ. ანსამბლი მთლიანობით გამოირჩევა.

მიუხედავად ამისა, მთელი სპექტაკლის ქორეოგრაფიული „მოძახილის" მთქმელად მაინც ახალგაზრდა მოცეკვავე მ. მახარაძე აღმოჩნდა. მან აიტაცა ყველას ცეკვითი ნირვი და მანვე ასწია ყველას პლასტიკური ექსტაზი. მ. მახარაძემ ამას მიაღწია შინაგანი ექსპრესიის სიუხვითა და სცენური გარდასახვის აქტიორული წყვერლით. მშვენიერი გარეგნობა, პროპორციული აღნაგობა, მეტყველი მკლავები, მიმზიდველი მკაფიო სახის ნაკვთები იმედს გვაძლევენ, რომ მოცეკვავე შემდგომშიც გაახარებს ქართული ბალეტის დამფასებლებს.

ნ. რიმსკი-კორსაკოვის ესპანური კაპრიჩიო იმგვარი კომპოზიციით დაიწყო, როგორც ი. ბახის პასაკალია. მოცეკვავეთა მთელი ანსამბლი სცენაზე იდგა, მაყურებელმა ის იყო თვალი შეავლო, და ცეკვის სიმღერა აინთო — ცეკვა აზარტული და აზრიანი, ცეკვა ფოლკლორული და დახვეწილი, ცეკვა მგზნებარე და ფერადოვანი. გ. დავითაშვილმა ტონდნითა და ტაქტით გამოიყენა ესპანური ხალხური ქორეოგრაფიის ილეთები, გაათავისუფლა ისინი სტილიზებულ, დაშტამპულ პამოძრაობებისაგან და აჩვენა ესპანეთი მაშვრალი და მებრძოლი. ამაში მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია გამოვენებიანმა მხატვარმა ბ. მესხერმა.

ხალხური არაგონური ხოტბა საერთო შეხრა-შეძახილებით დამთავრდა. ბალეტის ძლიერი და ლამაზი ხმა დარბაზში გაიჭრა და მოწონების ტაშში ჩაიძირა.

ერთაქტიანი ბალეტების კარგმა საღამომ მრავალაქტიანი ბალეტების გარიერაციც უნდა დაგვიბრუნოს. ამის თავდებია ბალეტმეისტერთა ძლიერი კოლექტივი, რომელსაც სათავეში უდგას სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვახტანგ ჭაბუკიანი და რომელსაც სამუდამოდ უნდა შეუერთდნენ როგორც გულბათ დავითაშვილი, ისე ამჟამად ვარშავის ბალეტის მთავარ ბალეტმეისტერად მომუშავე ალექსი ჩიჩინაძე და თანამედროვე საბჭოური საბალეტო რეფორმების ერთ-ერთი ბრწყინვალე „ძალა" — ლენინგრადში მოღვაწე, 28 წლის გიორგი ალექსიძე. ამ კავშირმა ერთიანი ქართული ბალეტის დიდი საქმე უნდა გააკეთოს.

**ოთარ ეგაძე,**
საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.





სურათებზე: სცენები სპექტაკლიდან „ერთაქტიანი ბალეტების საღამო". ზემოთ — მ. მახარაძე რიმსკი-კორსაკოვის „ესპანურ კაპრიჩიოში"; ქვემოთ მარცხნივ — ჩაიკოვსკის „რომეო და ჯულიეტა", რომეო — ა. პოლოსოვი, ჯულიეტა — ც. ბალანჩივაძე; მარჯვნივ — ლ. ნადარეიშვილი და ვ. გუნაშვილი ბახის „პასაკალიაში".
ფოტო პ. შევჩენკოსი.

„კომუნისტის" კალენდარი

# 150 წლის ქართული გაზეთი



ქართველი ხალხის მისწრაფებამ და ინტერესმა მაღალი კულტურისაკენ, მისმა ფართო ერუდიციამ და ფაქიზმა გემოვნებამ ბრწყინვალე გამოხატულება იმ დიდებულ ლიტერატურულ ნაწარმოებებსა და ხუროთმოძღვრების ძეგლებში ჰპოვა, რომლებიც თავისი სიდიადით დღესაც გვაოცებენ.

ასევე დიდი იყო ქართველი ხალხის ინტერესი პერიოდული პრესისადმი, მაგრამ ცხოვრების ავბედითმა პირობებმა კარგა ხნის განმავლობაში შეუძლებელი გახადა გაზეთისა თუ ჟურნალის დაარსება.

ჩვენამდე მოღწეული მასალების მიხედვით პირველი ცდა ქართული გაზეთის დაარსებისა 1799 წელს ეკუთვნის, როდესაც იოანე ბაგრატიონმა მეფე გიორგი მეთორმეტეს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი წარუდგინა; იგი მიზნად ისახავდა საქართველოს გამოყვანას მძიმე ეკონომიური და პოლიტიკური ვითარებიდან. სხვა ღონისძიებებთან ერთად ეს რთული მისია ქართულ გაზეთსაც ეკისრებოდა, რომლის დაარსებასაც პროექტი ითვალისწინებდა. იოანე ბაგრატიონის ღრმა რწმენით გაზეთი ხელს შეუწყობდა არა მხოლოდ ცოდნის გავრცელებას, არამედ მას უდიდესი მნიშვნელობა ექნებოდა სახელმწიფოს მართვა-გამგეობის გაუმჯობესების საქმეში. მიუხედავად დიდი სურვილისა, XVIII საუკუნის მიწურულს ქართული გაზეთი არ დაარსებულა.

XIX საუკუნის დამდეგიდან, რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ, ქართველი ხალხის ცხოვრებაში ახალი ხანა დაიწყო; როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიური და საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრება ახალი გზით წარიმართა, რასაც შედეგად ქართული გაზეთის დაარსებაც მოჰყვა.

საგულისხმოა, რომ ქართული გაზეთის დაარსების ინიციატორები ბიუროკრატიული მეფის რუსეთის მოხელენი იყვნენ. მათ მშვენივრად ესმოდათ, რომ ახალი კანონების, განკარგულებების და საერთოდ ახალი სახელმწიფოებრივი წყობის არსის განმარტება და ფართო მოსახლეობამდე დაყვანა მხოლოდ ქართულ ენაზე გამომავალი გაზეთის საშუალებით იყო შესაძლებელი, რადგან მოსახლეობის უმრავლესობამ რუსული ენა არ იცოდა. ცარიზმის მოხელეებს ღრმად სწამდათ, რომ სწორედ ქართულ გაზეთს შეეძლო დახმარებოდა მათ ახლად შემოერთებული მხარის მართვა-გამგეობაში.

ქართული ინტელიგენციის მოწინავე ნაწილი, რომელსაც ეროვნული ინტერესი ამოძრავებდა, გაზეთს სხვა ამოცანას უყენებდა. იგი სიამოვნებით შეხვდა ცნობას გაზეთის დაარსების შესახებ და მიზნად დაისახა მისი გამოყენება ქართველი ხალხის კულტურული დონის ამაღლებისა და დიადი პატრიოტული გრძნობის გაღრმავებისათვის.

და აი ამ 150 წლის წინათ, 1819 წლის 8 მარტს (ძველი სტილით) თბილისში გამოიცა ქართული გაზეთის პირველი ნომერი — „საქართველოს გაზეთი". ამ სახელწოდებით გამოდიოდა იგი 1820 წლამდე, შემდეგ კი „ქართული გაზეთი" ეწოდა. „ქართული გაზეთი" გამოდიოდა 1821 წლის დასასრულამდე და ერთადერთ პერიოდულ ორგანოს წარმოადგენდა მთელ ამიერკავკასიაში.

სამწუხაროდ, დღემდის ბურუსით არის მოცული პირველი ქართული გაზეთის რედაქტორის ვინაობა და რედაქციის შემადგენლობა. საქართველოს მთავარმართებლის ერმოლოვის ცნობიდან ჩვენ მხოლოდ იმას ვიგებთ, რომ გაზეთის გამოცემას კავკასიის სამხედრო კორპუსის შტაბის მმართველობა ხელმძღვანელობდა, ეს გარემოება კი ბუნებრივად გამორიცხავდა პროგრესული ქართველი ინტელიგენციის თანამშრომლობას და მონაწილეობას გაზეთის გამოცემის საქმიანობაში.

მეტად თავისებური იყო პირველი ქართული გაზეთის შედგენის წესი: გაზეთისათვის საჭირო ყველა მასალა თავდაპირველად რუსულ ენაზე იწერებოდა, საზღვარგარეთის პრესიდან გადმოსაბეჭდი მასალაც რუსულად ითარგმნებოდა და, როცა მთელი ნომერი რუსულ ენაზე გამზადდებოდა, განსახილველად ცენზორს წარედგინებოდა. ცენზორის მოვალეობას იმ ხანად ასრულებდნენ მთავარმართებელი ერმოლოვი და მისი მოხელენი. ცენზორის მიერ შეწყნარებული რუსულად შედგენილი გაზეთის ნომერი იგზავნებოდა რედაქციაში, სადაც იწყებოდა მისი ქართულად თარგმნა. ყველა მასალა გაზეთში რომ ნათარგმნია, ეს მშვენივრად ჩანს გაზეთის ენიდან. მასში საკმაო რაოდენობით არის რუსიციზმები, და საერთოდ გაზეთის ენა და სტილი მეტად მძიმე და მოუხეშავია.

„საქართველოს გაზეთის" მიზანი და პროგრამა ნათლად არის წარმოდგენილი იმ განცხადებაში („გამოცხადება"), რომელიც 1819 წლის პირველ თვეებში დაიბეჭდა და მოსახლეობას დაურიგდა. განცხადება მკითხველ საზოგადოებას ბევრ საინტერესოს ჰპირდებოდა. პირველ ყოვლისა გაზეთი უნდა გამოსულიყო „სარგებლობისა და კმაყოფილებისათვის მცხოვრებთა ამის ქვეყნისათა" და ეუწყებინა მკითხველებისათვის რუსეთის სამეფო კარის ცხოვრება, საქართველოში მომუშავე სამხედრო და სამოქალაქო სამსახურში მყოფ პირთა დაჯილდოება, გაეცნო მოსახლეობისათვის „უმაღლესი ბრძანებები", ყურადღება გაემახვილებინა საქართველოს ეკონომიური და საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების აქტუალურ საკითხებზე, გაეცნო მკითხველთათვის სხვადასხვა ქვეყნების პოლიტიკურ-კულტურული მდგომარეობა და სხვ.

მაგრამ პირველმა ქართულმა გაზეთმა ვერ შეძლო ამ კარგი ჩანაფიქრის სრულად განხორციელება. მიუხედავად იმისა, რომ „ქართული გაზეთი" პოლიტიკურ-ლიტერატურულ ორგანოს წარმოადგენდა, რომელიც ყოველ პარასკევობით გამოდიოდა, იგი არც ფორმითა და არც შინაარსით მრავალფეროვანი პერიოდული გამოცემა არ ყოფილა. ოთხგვერდიანი გაზეთის ყოველი გვერდი გაყოფილი იყო ორ სვეტად, დაბეჭდილ მასალას არ ახლდა არც ერთი ილუსტრაცია.

გაზეთში უმთავრესად იბეჭდებოდა მასალები ისტორიიდან, ეპიზოდები მეფის ოჯახის ცხოვრებიდან, კავკასიის მთიელთა დაპყრობის ამბები, მთავრობის ბრძანებები და განკარგულებები მოხელეთა დაწინაურების, გადაყვანა-გადმოყვანის, მათთვის პენსიების დანიშვნის შესახებ, ქვეყნდებოდა აგრეთვე ცნობები ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის, საბერძნეთის, ესპანეთის, თურქეთისა და სხვა ქვეყნების პოლიტიკური მდგომარეობის ირგვლივ.

მაგრამ ყოველივე ეს მეტად მშრალად და არამიმზიდველი ფორმით ეძლეოდა მკითხველს. მაგალითად, გაზეთმა ძალზე მკრთალად გააშუქა თურქეთის წინააღმდეგ საბერძნეთის აჯანყების ისტორიული ფაქტი, თუმცა ამ საკითხში საბერძნეთის მხარე დაიჭირა, როგორც ამას მეფის რუსეთის პოლიტიკური ინტერესები მოითხოვდა. გაზეთმა ვერ შეძლო სრულყოფილად აესახა საქართველოში წარმოებული კლასობრივი ბრძოლა, აეხსნა მისი მიზეზები და მხოლოდ ყმათა გაქცევის ფაქტის აღნიშვნით დაკმაყოფილდა. მართალია, გაზეთმა უყურადღებოდ არ დასტოვა 1820 წლის იმერეთ-გურის აჯანყების ამბავი, მაგრამ საინტერესო ფაქტების ხორცშესხმა ვერ მოახერხა. სამაგიეროდ საკმაოდ მდიდარი მასალაა წარმოდგენილი რუსეთის ისტორიიდან, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პეტრე პირველის საქმიანობას, პოლტავის ბრძოლას, 1812 წლის სამამულო ომს, მხედართმთავარ კუტუზოვის ბრძოლებს და მის დამსახურებას სამშობლოს წინაშე.

გაზეთში დაბეჭდილია მეტად ძვირფასი ცნობები ამ პერიოდის თბილისის შესახებ. მკვლევარი, რომელიც ჩვენი ქალაქის ისტორიით დაინტერესდება, ამ საყურადღებო მასალას გვერდს ვერ აუვლის.

გაზეთის ხელმძღვანელობას მშვენივრად ესმოდა განათლების მნიშვნელობა საზოგადოებისათვის და აღნიშნავდა: „თვითეულმა უწყის, რომელ განვითარება და განათლება კაცთა დამოკიდებულ არს სწავლათა და კითხვათა სასარგებლოთა წიგნთასა" და განათლების ერთ-ერთ საშუალებად გაზეთიც მიაჩნდა. ამიტომ იყო, რომ რედაქციის თანამშრომლები არ ერიდებოდნენ უხვად ამოეკრიბათ რუსული და უცხოური ჟურნალ-გაზეთებიდან ქართველი მკითხველისათვის სასარგებლო ცნობები.

რედაქცია გარკვეულ ადგილს უთმობდა ლიტერატურულ მასალასაც. გაზეთში იბეჭდებოდა მცირე ფორმის მოთხრობები და ამბები, მაგრამ ყველა მათგანი ნათარგმნი იყო. გაზეთის ხელმძღვანელობას სურდა, რომ ქართულ გაზეთში ორიგინალური, ქართული მასალაც დაბეჭდილიყო, ამიტომ მოუწოდებდა იგი საზოგადოებას: ვთხოვთ „მოყვარეთა სიტყვიერებისა სწავლებისათა, რათა მისცენ მათ ქართულსა ენასა ზედა სხვადასხვა ცნობანი, მოთხრობანი ყურადღებისა ღირსთა საგანთათვის, რომელნიც ყოველივე კმაყოფილებით მოხსენებულ იქნებიან გაზეთსა ამასა შინა". მაგრამ ქართველმა ინტელიგენციამ და მწერლებმა შორს დაიჭირეს რედაქციის თხოვნა. მათ კატეგორიული უარი განაცხადეს გაზეთში თანამშრომლობაზე, რაც ცარიზმის წინააღმდეგ პროტესტის გამოხატვის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენდა. არსებობის სამი წლის მანძილზე „ქართულ გაზეთში" არც ერთი ორიგინალური ქართული მხატვრული ნაწარმოები არ დაბეჭდილა.

თუმცა ადგილობრივი ხელისუფლება პირველ ხანებში „ქართულ გაზეთს" სასარგებლო გამოცემად თვლიდა და მასზე დიდ იმედებსაც ამყარებდა, მაგრამ მალე გამოირკვა, რომ გაზეთი ქმედით ზეგავლენას ვერ ახდენდა მასებზე. იგი ვერ იქცა ისეთ იარაღად, რომლითაც შესაძლებელი გახდებოდა ცარიზმის პოლიტიკის მოქნილად გატარება საქართველოში. ამიტომ მის არსებობასაც აზრი ეკარგებოდა, მით უმეტეს, რომ ხელისმომწერთა რიცხვი, რომელიც თავდაპირველად ხუთას კაცს აღემატებოდა, საგრძნობლად შემცირდა და გაზეთის გამოცემას მხოლოდ ზარალი მოსდევდა. ყოველივე ამის გამო 1821 წლის დასასრულს ხელისუფლებამ „ქართული გაზეთის" გამოცემა შეწყვიტა.

მართალია, „ქართულ გაზეთს" ბევრი ნაკლი ახასიათებდა, მაგრამ მას მაინც გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ცხოვრების ისტორიაში, როგორც პირველ პერიოდულ გამოცემას. მან სათავე დაუდო ქართული პრესის იმ მძლავრ ნაკადულს, რომელიც მთელი ძალით XIX საუკუნის მეორე ნახევარში დაიძრა და დღეს განვითარების უმაღლეს მწვერვალს მიაღწია.

**პროფ. ი. ბოცვაძე.**

მსოფლიო გამოფენაზე — „ექსპო-70"

[illegible]

მოგზაურობა „ჯარასუნი"

[illegible]

...რის ერთ-ერთი ულამაზესი ადგილია. კანარის კუნძულები თავისი მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობით საერთაშორისო კომუნიკაციებზე, აგრეთვე შესანიშნავი კლიმატური პირობებით, წლის ყოველ დროს იზიდავს ათასობით ტურისტსა და დამსვენებელს მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან.

ყოველდღიურად ლას პალმასის ნავსადგურ- [illegible] ფოტოსურათებს, კინოკადრებს.

7 აპრილს საღამოს გამოვეთხოვეთ კუნძულის მცხოვრებლებს და ჩვენმა თბომავალმა კურსი სინგაპურისაკენ აიღო. კიდევ გასავლელი გვაქვს სამი ოკეანე და მრავალი ზღვა. საბოლოო პუნქტია ნავსადგური კორსაკოვი კუნძულ სახალინზე.



## ერთ სოფელში

ზუგდიდის რაიონის სოფლებში რგავდნენ ხხვადასხვა ჯიშის მცენარეებს გზების გაყოლებით, სოფლის ცენტრში, სკვერებსა და ბაღებში. განსაკუთრებით კარგად იმუშავეს სოფელ ჭკადუაშის მშრომელებმა და საშუალო სკოლის მოსწავლეებმა.

12 აპრილს სოფლის მშრომელები მასობრივად გამოვიდნენ ლენინურ კომუნისტურ შაბათობაზე, ბეჯითად იმუშავეს სამი კილომეტრი გზის მოასფალტებაზე. ამ გზით სოფელი უმოკლესი გზით დაუკავშირდება მეზობელ — წალენჯიხის რაიონს. ამ სურათზე თქვენ ხედავთ შაბათობის მონაწილეებს მუშაობის დროს.

ფოტო თ. ფუტკარაძისა.

ტექნიკის სიახლენი



## ელექტროავტომობილი

იაპონელი სპეციალისტების ყურადღება დიდიხანია მიპყრობილია ელექტროავტომობილის შექმნის პრობლემებზე. ასეთი ავტომობილის პირველი ექსპერიმენტული ნიმუში იაპონიაში 1924 წელს შექმნეს. 1935 წლისათვის იაპონელებმა უკვე ბევრი მანქანა გამოუშვეს და შეეცადნენ პრაქტიკულადაც გამოეყენებინათ, მაგრამ პირველი ცდა ჩაიშალა. ამის მიზეზი იყო ელექტრომანქანის გარბენის მცირე მანძილი (აკუმულატორების ხელახლა დაუტენლად ან გამოუცვლელად) და დაბალი სიჩქარე ჩვეულებრივ ავტომანქანებთან შედარებით. ამასთან იმ დროისათვის იაპონია ელექტროენერგიის ნაკლებობას განიცდიდა. ამის შემდეგ იაპონიაში ელექტროავტომობილი თითქმის მთლად მიივიწყეს.

უკანასკნელი ორი-სამი წლის მანძილზე ამ ქვეყანაში ელექტროავტომობილისადმი ინტერესი კვლავ გაიზარდა. ელექტროტექნიკაში მიღწეულმა წარმატებებმა ნიადაგი მოუმზადა დიდი ხნის პრობლემის განხორციელებას.

იაპონელებმა შექმნეს მუდმივმოქმედი გ. წ. გენერალური სამეცნიერო-საკვლევი კომიტეტი, რომელსაც ელექტრომძრავიანი ავტომობილის შექმნასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრა დაევალა. ამ საქმის ინიციატორი იაპონიის საავტომობილო კომპანიის ასოციაციის გარდა იყო ქვეყნის ისეთი გავლენიანი სახელმწიფო ორგანო, როგორიც არის ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრო.

ამ ახლადშექმნილი კომიტეტის ფუნქცია მარტო მრავალრიცხოვანი საკონსტრუქტორო ბიუროების საქმიანობის კოორდინაცია როდია. 1968 წლის სექტემბერში კომიტეტმა ექსპერტთა სპეციალური ჯგუფები გაგზავნა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში, საფრანგეთში, იტალიაში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ჰოლანდიაში. ელექტროავტომობილების წარმოების დარგში მიღწეული წარმატებების შესასწავლად. ამ ქვეყნებისადმი ინტერესი იმით აიხსნება, რომ აქაც უკვე კარგახანია მიმდინარეობს ელექტრომძრავიანი ავტომობილების გამოცდა.

„როცა ელექტროავტომობილების წარმოების თვითღირებულებას ჩვეულებრივი ავტომობილების წარმოების დონემდე დავიყვანთ, მაშინ საშუალება გვექნება პრაქტიკაში ფართოდ დავნერგოთ ავტომობილის ეს პროგრესული სახე", — ამბობენ იაპონელი სპეციალისტები. ეს საკმაოდ ოპტიმისტური ვარაუდია, და თუ იგი განხორციელდა, მაშინ ელექტრომძრავიანი ავტომობილი დიდ კონკურენციას გაუწევს ჩვეულებრივ ავტომობილებს. სპეციალისტების აზრით, ის ბევრად უფრო მსუბუქი, ადვილად სამართავი და იაფი იქნება.

ელექტროავტომობილის 5 წლის მანძილზე ექსპლოატაციის ხარჯები (საამორტიზაციო დანახარჯების ჩათვლით) 17 პროცენტით ნაკლებია ვიდრე ჩვეულებრივი ავტომობილისა. თუმცა მისი სიჩქარე ჯერჯერობით არც ისე დიდია — მაქსიმალური სიჩქარე საათში 70 კილომეტრია.

მაგრამ მიუხედავად იმისა, გაიზრდება თუ არა მისი სიჩქარე და აკუმულატორების დაუმუხტავად ან გამოუცვლელად გარბენის დისტანცია, სულ ერთია, იაპონელთა ცხოვრებაში იგი მაინც მოიკიდებს ფეხს.

„ეკონომიჩესკაია გაზეტა".

## აერომოთხილამურე

საათში 30 კილომეტრი სისწრაფით მიჰქრის თოვლიან ველზე მოთხილამურე. ასეთ სისწრაფეს მისი კუნთების ძალა როდი ქმნის — მას ზურგზე მოდებული აქვს ინჟინერ ფ. მაგინის კონსტრუქციის აეროძრავი.

მარილი კონსტრუქტორის აეროძრავი პატარა, კომპაქტური აპარატია, რომელსაც მოთხილამურე ზურგზე იმაგრებს ღვედებით, როგორც ზურგჩანთას. სერიული ბენზოხერხის „დრუჟბას" ოთხცხენისძალიანი ორტაქტიანი მოტორი აბრუნებს პატარა პროპელერს, რომელიც 16 კილოგრამი წევის ძალას ქმნის. მოტორის ამუშავება ხდება სტარტერის საშუალებით, რომელიც ბენზოხერხის სტარტერისაგან განსხვავებით მუდმივად თავის ბუდეშია მოთავსებული. აპარატის წონა სულ რაღაც 11 კილოგრამია. სურათზე ხედავთ სტუდენტ ა. პეჩნიკოვს, რომელიც გამოცდის ტრასაზე სტარტს ელოდება.



ფოტო რ. ალფიმოვისა. (ახალი ამბების სააგენტო).

## ჩვენი სტუმარია • ნიანგი



— ეგ თუ პატიოსანი კაცია, საიდან ჭამს ყოველდღე მწვანილს?

ნახ. ზ. ფორჩხიძისა.



— რატომ ჩამოუკიდებიათ ეს ტელეფონი ასე შეუმჩნეველ ადგილზე?

— ხულიგანს რომ არ მოხვდეს თვალში.

ნახ. მ. მალაზონიასი.

### პირველი კერძები

ბორში — წითელი სუპი
ხარჩო — სქელი სუპი
ბულიონი — თხელი სუპი
ჩიხირთმა — ყვითელი სუპი
სუპი — მოხარშული წყალი

### მეორე კერძები

ანტრიკოტი — ძვლიანი კატლეტი
ბიფშტექსი — დიდი კატლეტი
ბიტკი — მრგვალი კატლეტი
შნიცელი — ბრტყელი კატლეტი
ქაბაბი — გრძელი კატლეტი
ლულა-ქაბაბი — ლავაშიანი კატლეტი
კატლეტი — შემწვარი პური

### რძის ნაწარმი

არაჟანი — სქელი რძე
ხაჭო — დაკურკუშელებული რძე
ხაჭომცხვარი — („სირნიკი") — შემწვარი რძე
ყველი — დაკვეთილი რძე
რძე — ცარციანი წყალი.

სასადილოს გამგე: ხაჭაპურიძე.



— რატომ გაგათავისუფლეს ჯარიდან?

— ჩემი ლექსები წავუკითხე და მითხრეს, თავისუფალი ხარო...

ნახ. ბ. ფირცხალავასი.

ფეხბურთი

## ცხრა მატჩი ერთ დღეს

## წვიმაში...

„დინამო" (თბილისი) — „დინამო" (მინსკი) 2:1 (1:0). თბილისი. 12 აპრილი. „ლოკომოტივის" სტადიონი. მსაჯი — ვ. ტოლჩინსკი (ალმა-ატა).

„დინამო" (თბილისი) — ურუშაძე, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, ცხოვრებოვი, პეტრიაშვილი, ილიადი, ასათიანი (კუტივაძე), მეტრეველი, ნოდია, გავაშელი.

ვერ იქნა და ვერ გამოიდარა, გუშინდელ მატჩსაც თავიდან ბოლომდე წვიმა მიაცილებდა, მოედანზე გუბეები დადგა, ატალახდა. ასეთ ვითარებაში თამაში ყველასათვის ძნელია და მით უმეტეს თბილისელთათვის. და მაინც შეიძლება თამამად ითქვას, რომ იმ მატჩებიდან, რომლებიც ჩვენს სტადიონზე ვიხილეთ, გუშინდელი ასპარეზობა გამოირჩეოდა, როგორც სანახაობითი, ისე წმინდა ტექნიკური და ტაქტიკური ხასიათითაც.

თბილისელთა უპირატესობა აშკარა იყო, საგოლო მომენტები კი აურაცხელი. ერთ-ერთი მათგანი 29-ე წუთზე პეტრიაშვილის ეფექტური გოლით დამთავრდა. მეორე ნახევრის დასაწყისშივე მასპინძლებმა ანგარიში გაადიდეს. ბურთი ნოდიამ გაიტანა, მხოლოდ თამაშის დამთავრებამდე 3 წუთით ადრე კაბირსკიმ შესძლო საპასუხო ბურთის გატანა.

თბილისელებმა გაიმარჯვეს 2:1.

აი რა განაცხადეს მწვრთნელებმა მატჩის შემდეგ:

**ა. სევიდოვი:** ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს, თბილისელები თამაშობდნენ ჩინებულად — ტემპიანად და რაც მთავარია, ასეთ არახელსაყრელ ამინდში, მაღალტექნიკურად. ვერაფერს იტყვის კაცი. ნამდვილად დამსახურებული გამარჯვება იყო. ვის გამოვყოფ? ყველა, ყველაა, მაგრამ არ შემიძლია პირველ რიგში არ დავასახელო მეტრეველი და ხურცილავა.

**გ. ჩოხელი:** ჩვენი მინსკელი თანაკლუბელები უმაღლეს ლიგაში ყველასათვის, და რა თქმა უნდა ჩვენთვისაც, მეტად საშიში მეტოქეა. ისინი ამ მატჩშიც ცუდად როდი თამაშობდნენ. ჩვენებიდან ვერავის გამოვყოფ. გაიმარჯვა კოლექტივმა.

## ქუთაისშიც წარმატება

გუშინ ქუთაისშიც წვიმდა. მიუხედავად ამისა თამაში მაღალ ტემპში დაიწყო. ტორპედოელები გამუდმებით უტევდნენ „ზენიტის" კარს.

მე-18 წუთზე ერთ-ერთი საჯარიმო დარტყმა ტორპედოელთა მცველმა ებრალიძემ გოლით დააგვირგვინა — 1:0. მატჩის მეორე ნახევარში თამაში უფრო გამწვავდა, მაგრამ ანგარიში არ შეცვლილა.

ქუთაისის „ტორპედომ" ორი ქულა ჩაიწერა აქტივში.

ჭადრაკი

## მოსკოვსა და თბილისში

„კომუნისტი" სპორტი



## ჩემპიონის პირველი გამარჯვება

გუშინ რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზში გაიმართა მსოფლიოს პირველობაზე ნონა გაფრინდაშვილისა და ალა კუშნირის მატჩის მორიგი, მესამე პარტია.

თეთრებით თამაშობდა პრეტენდენტი. მეტოქეებმა გაითამაშეს ინგლისური დასაწყისის ერთ-ერთი აქტუალური სისტემა. საკმარისია აღინიშნოს, რომ მას სისტემატურად იყენებს მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მ. ბოტვინიკი. დებიუტის შედეგად შეიქმნა რთული პოზიცია დაახლოებით თანაბარი შანსებით. ა. კუშნირმა მალე გადაუხვია ბოტვინიკის სქემას. მსოფლიოს ჩემპიონმა დაუშვა პაიკების გაორება მეფის ფრთაზე, თავის მხრივ პრეტენდენტსაც უნდა ეზრუნა ლაზიერის ფრთაზე თავისი სუსტი პაიკის დასაცავად.

22-ე სვლაზე კუშნირს სერიოზული შეცდომა მოუვიდა, რის შემდეგ მისი მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. ხუთი სვლის შემდეგ ნ. გაფრინდაშვილმა პაიკიც მოიგო. ლაზიერების გაცვლის შემდეგ თეთრებმა ხრულიად უიმედო პოზიცია მიიღეს. მსოფლიო ჩემპიონი ბოლომდე ზუსტად თამაშობდა და მეორმოცე სვლაზე მეტოქე აიძულა შეეწყვიტა წინააღმდეგობა.

ამრიგად, ანგარიში გათანაბრდა — 1,5:1,5. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ასეთივე ანგარიში იყო რიგაში სამი პარტიის შემდეგ.

იმის გამო, რომ რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზი აშკარად ვერ იტევს მაყურებლებს, საორგანიზაციო კომიტეტმა გადაწყვიტა ამავე თეატრის დიდ დარბაზში გადაიტანოს თამაში. ხვალ მეტოქენი ისვენებენ.

მორიგი მეოთხე პარტია გაიმართება 15 აპრილს. თეთრებით ითამაშებს ნ. გაფრინდაშვილი.

## პეტროსიანი თუ სპასკი?

გუშინ მოსკოვის სატელევიზიო თეატრში საზეიმოდ გაიხსნა მატჩი მსოფლიოს პირველობაზე ჭადრაკში ამ ტიტულის მფლობელ ტიგრან პეტროსიანსა და პრეტენდენტ ბორის სპასკის შორის.

მეტოქენი მსოფლიოს № 1 მოჭადრაკის წოდებისათვის პირველად როდი ხვდებიან ერთმანეთს. გავიხსენოთ მათი მატჩი 1966 წელს — 12,5:11,5 პეტროსიანის სასარგებლოდ.

მატჩის გახსნის გუშინდელ ცერემონიალზე მეტოქეებს მიესალმა სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარე ბ. სეროვი. ფიდეს სახელით მატჩი გახსნილად გამოაცხადა მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა, დოქტორმა მაქს ეივემ. შეჯიბრების რეგლამენტი დამსწრეთ გააცნო მსაჯმა ბელგიელმა გროსმაისტერმა ა. ო'კელიმ. მოეწყო წილისყრა. პირველ პარტიაში თეთრებით ითამაშებს ბ. სპასკი.

კვირაში მეტოქეები სამ პარტიას გამართავენ — ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით. მეორე დღეები განკუთვნილია გადადებული პარტიებისათვის. კვირას გროსმაისტერები დაისვენებენ. სულ უნდა ჩათამაშდეს 24 პარტია. მატჩის 12:12 დამთავრების შემთხვევაში ჩემპიონობას პეტროსიანი შეინარჩუნებს. ამ ტიტულის მოსაპოვებლად კი ბ. სპასკის 12,5 ქულა სჭირდება.

მაშ ასე, დიდი მატჩი გაიხსნა, ხვალ მსაჯები ა. ო'კელი და მ. ფილიპი ჩართავენ საათს.

## პრიზი გაინაწილეს

**მონტე-კარლოში** „მონაკოს" საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის უკანასკნელ ტურში მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ვ. სმისლოვმა დაამარცხა დ. ბრონშტეინი, ხოლო ლიდერმა უნგრელმა გროსმაისტერმა ლ. პორტიშმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ამერიკელ პ. ბენკოსთან.

ამრიგად, ვ. სმისლოვმა და პ. ბენკომ რვა-რვა ქულა შეაგროვეს და პირველი პრიზი გაინაწილეს. მესამე და მეოთხე ადგილები გაიყვეს ვ. ჰორტმა და ი. ლომბარდიმ — შვიდ-შვიდი ქულა.

## ლიდერობს რ. ჯინჯიხაშვილი

სოხუმის რესპუბლიკურ საჭადრაკო ჩემპიონატზე გათამაშდა 14 ტური. მეთოთხმეტე ტურში 4 პარტია დამთავრდა. რ. ჯინჯიხაშვილმა დაამარცხა ა. გვენცაძე, მ. სანაძემ — დ. ჯანოევი, მ. არჩვაძემ — თ. ლომაია, ჯ. ინჯიამ — გ. მუკნიაშვილი. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

14 ტურის შემდეგ წინ არის რ. ჯინჯიხაშვილი, რომელსაც 10,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, ა. ბოკუჩავას — 10 ქულა და 1 გადადებული პარტია, გ. ციხელაშვილსა და ე. მიქაელიანს — ცხრა-ცხრა ქულა და თითო გადადებული პარტია.

## გუშინ სტადიონებზე

12 აპრილი საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის დღე იყო. გარდა თბილისისა და ქუთაისისა, მატჩები ფეხბურთში გაიმართა ჩვენი ქვეყნის კიდევ შვიდ ქალაქში. აი ამ შეხვედრათა შედეგები:

„ნეფტჩი" (ბაქო) — „დინამო" (მოსკოვი) 2:1.

„ჩერნომორეცი" (ოდესა) — „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) 2:2.

„ზარია" (ლუგანსკი) — „დინამო" (კიევი) 0:1.

არმიის სასპორტო კლუბის გუნდი (დონის როსტოვი) — არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდი (მოსკოვი) 0:1.

„შახტიორი" (დონეცკი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი) 1:1.

„კაირატი" (ალმა-ატა) — „სპარტაკი" (მოსკოვი) 1:1.

„პახტაკორი" (ტაშკენტი) — „ტორპედო" (მოსკოვი) 2:1.

## ტანსაცმლის საზაფხულო ფორმაზე გადასვლა

თბილისის გარნიზონის უფროსის ბრძანებით, თბილისის გარნიზონის სამხედრო ნაწილები, დაწესებულებები და სამხედრო სასწავლებლები 1969 წლის 16 აპრილიდან ტანსაცმლის საზაფხულო ფორმაზე გადადიან.

სასამართლო დარბაზიდან

## ხორცმეტი

**თბილისში** ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე თემურ ნათობიძე მაღაზიის მისასვლელთან უცბად ვიღაცამ შეაჩერა:

— საით მიიჩქარი, დედასბიჯო?

— მაღაზიაში, პურზე! — უპასუხა და ფეხს აუჩქარა, ჭაბუკს ქუჩაში სასაუბროდ დრო არ ჰქონდა, შინ მშობლები და წიგნებით სავსე მაგიდა ელოდებოდა...

— მოიცა, შე ცანგლიანო, დღეს კარგად არავინ გვიცეკვია, ხელის გულები მექავება, მეც და ჩემს მეგობარს, ნაღდად ანკესზე შენ წამოეგე. შენი ჯერია, — შესძახა და უმალვე ყელში სწვდა.

— რა დაგიშავე, ძმობილო?!

— როგორ გაბედე სიტყვის შემობრუნება, იცი ვინ ვარ? მე ზიპოს მეძახიან... ამის თქმისთანავე თამაზ ვართანოვმა ჯარქაშიდან ელვის სისწრაფით იძრო ხანჯალი. რისთვისო, — ჩამოხდა თემურს, თავის დასაცავად მობრიდაპირეს ხელში ეცა. წამოსხმული პალტო ძირს დაუვარდა. ჭიდილში ჭაბუკს თითები გადაიჭრა, სისხლით შეიღება ტანსაცმელი.

დაჭრილმა თემურმა გაცლა ამჯობინა, ავისმქნელი კი დაედევნა: — სად წამიხვალ, სად? თემურ ნათობიძემ ღობემდე მიაღწია, კიტი მოაძრო, იქნებ თავს გუშველოო, მაგრამ სწორედ ამ დროს ხანჯლის წვერმა ბარძაყის ზედა ნაწილში სიმწვავე აგრძნობინა. აქვე გაჩნდა ვართანოვის განუყრელი მეგობარი აკაკი მელიქიშვილი, ისიც ეცა თემურს. ამით ისარგებლა ვართანოვმა და რამდენიმე ჭრილობის მიყენებით სიცოცხლეს გამოასალმა თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმის მეოთხე კურსის სტუდენტი თემურ ნათობიძე.

დამნაშავე მიიმალა...

მკვლელს და მის თანამონაწილეს თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოსა და ორჯონიკიძის განყოფილების მუშაკებმა მალე მიაგნეს.

თამაზ ვართანოვი და აკაკი მელიქიშვილი ყოველთვის ზიზღით უყურებდნენ იმათ, ვინც ალალი შრომით ცხოვრობს, თვითონ კი მთელ დღეებს პროსპექტზე ხეტიალსა და მოედანზე დგომას არჩევდნენ.

და როცა კაცი პატიოსან შრომას გაურბის, უთუოდ ბოროტების ჭაობისაკენ დაეშვება.

ჯერ კიდევ ოცი წლის იყო ვართანოვი — ზიპოდ წოდებული, რომ თბილისის ორჯონიკიძის სახალხო სასამართლომ ხულიგნობისათვის ორი წლის პატიმრობა მიუსაჯა, იფიქრეს, ახალგაზრდაა, იქნებ გამოსწორდესო, და ციხიდან ვადაზე ადრე გაათავისუფლეს.

1965 წლის ოქტომბერში თ. ვართანოვმა, ა. მელიქიშვილმა და მათმა თანამონაწილეებმა ქურდობაში ნაცადი მეთოდით პეკინის ქ. № 18-ა სახლში მცხოვრებ მ. ლ-ძის ბინა ოსტატურად გაალეს და ოჯახი გაამწარეს.

1966 წლის აპრილში თ. ვართანოვმა ძმა-ბიჭებთან ერთად ი. ნიკოლაძის ქ. № 12 სახლის ეზოდან ვ. დ-ს კუთვნილი ავტომანქანა „ვოლგა" გაიტაცა. ლისის ქუჩაზე თბილხილბოსტანვაჭრობის მაღაზია გაქურდეს, შემდეგ „ვოლგით" მთელი ღამე ისეირნეს, ინავარდეს.

ავისმქნელები საბჭოთა მართლმსაჯულებამ საკადრისად დასაჯა.

მაგრამ არა და არა, თ. ვართანოვმა მაინც არ გააკეთა საჭირო დასკვნები. როგორც მკითხველმა დაინახა მას ბოროტებაში არ ჩამოუვარდებოდა უქნარა ა. მელიქიშვილი. ქურდობა და ჩხუბი — აი მისი მუდმივი პროფესია. 1967 წლის 3 აპრილს ხალხით სავსე ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე გზად მიმავალ უდანაშაულო მოქალაქეს გ. კ-ძეს ცხვირპირიდან სისხლი ადინა, თანაც თვითნაკეთები დანა მოიშიშვლა და დაჭრა. მიიმალა.

გათავხედებულმა ხულიგნებმა სწორედ იმავე დღეს 3 აპრილს იმსხვერპლეს თ. ნათობიძე.

ხალხმა ავისმქნელებს სამართლიანად შეარქვა საზოგადოების ხორცმეტები.

გარეწრები, ხორცმეტები საბჭოთა მართლმსაჯულების წინაშე წარსდგნენ.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ უ. თარგამაძისა და პროკურორ შ. გაგუნაშვილის მონაწილეობით მკვლელ თ. ო. ვართანოვს სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა მიუსაჯა, ხოლო ა. ვ. მელიქიშვილს ხუთი წლის პატიმრობა.

ასეთია ხალხის განაჩენი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა უარყო მსჯავრდადებულ თ. ო. ვართანოვის შუამდგომლობა პატიების შესახებ.

განაჩენი სისრულეშია მოყვანილი.

**შ. ჩხატარაშვილი,**
ქ. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილე, პოლკოვნიკი.

**ა. გოცირიძე.**

## რადიო

**ორშაბათი, 14 აპრილი,**

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — ე. ჯაბადარი „ქართული რაფსოდია", 07.30 — დილის კონცერტი, 08.10 — მსოფლიო ხალხთა სიმღერები და საცეკვაოები, 09.25 — გრიგი. ბალადა ფორტეპიანოსათვის და ვოკალური ციკლი „კლდეებსა და ფიორდებზე", 11.05 — ქართული ხალხური სიმღერები. 11.45 — სიმღერები ლენინზე, 12.10 — საუბარი „ქართველი მშენებლები საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე", 12.25 — ე. შებალინი. სავიოლინო კონცერტი, 13.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 13.20 — პევზნერი. ფანტაზია ჩუბინიშვილის სიმღერების თემებზე, 13.40 — ა. კერესელიძე. ნაწყვეტები ოპერიდან „ბერუზა", 14.00 — ს. პროკოფიევი. მეექვსე სიმფონია (მოსკოვი), 17.15 — მოსწავლეთათვის რადიოდადგმა „ორი მერცხალი", 18.10 — ქართული ხალხური სიმღერები, 18.45 — კრეინი. ნაწყვეტები ბალეტიდან „ლაურენსია", 19.00 — საუბარი „სოციალისტური სამშობლოს დაცვა ჩვენი წმიდათაწმიდა მოვალეობაა", 19.15 — ო. თევდორაძე. სიმღერები, 19.45 — უკრაინის რუმინეთის რადიოსა და ტელევიზიის საესტრადო ორკესტრი, 20.35 — რ. გაბიჩვაძე. კამერული ნაწარმოებები, 21.00 — ძილისპირული", 21.15 — ნ. ტიხონოვი. „სეაჯი". მოთხრობა, 22.00 — კონცერტი-ნარკვევი „ახალგაზრდა ესტონელი მომღერალი ვოლდემარ კუსლაპი". 22.50 — მსუბუქი მუსიკა, 23.30 — უკრაინის კამერული ორკესტრი ვ. შტროსის ხელმძღვანელობით, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

## ტელევიზია

**13 აპრილი**

09.30 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის ლექცია ფიზიკაში, 10.00 — ლექცია მათემატიკაში, 10.30 — ბავშვებისათვის „მალვიძარა" (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — მუსიკალური კიოსკი — (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „მიკლუხო-მაკლაი", 13.00 — ბავშვებისათვის — კონცერტი სოხუმელ მოსწავლეთა მონაწილეობით, — 13.40 — სატელევიზიო მრავალსერიიანი ფილმი „ნახევარი საუკუნის მატიანე" 1945 წელი (ქართულ ენაზე), 14.40 — კინოაფიშა, 15.00 — კინომოგზაურთა კლუბი (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის. სატელევიზიო ჟურნალი „ჩვენს ოლქში", 16.45 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — ჟურნალი „ცისკარი", 17.25 — მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისათვის ჭადრაკში ვაჟთა შორის პეტროსიან-სპასკის მატჩის ოფიციალური გახსნის ვიდეოჩანაწერი. 17.55 — გადაცემა ციკლიდან „ხამს მოყვარე მოყვრისათვის", 18.40 — გადაცემა „ჩვენი ოპერის ახალგაზრდობა", 19.40 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 19.55 — საღამოს გადაცემების პროგრამა. 20.00 — გადაცემა მშვიდობის სადარაჯოზე", 20.45 — საესტრადო გასართობი პროგრამა, 21.30 — ქართული ფილმი „დავით გურამიშვილი".

## რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

## თეატრები

**13 აპრილი**

**ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური** — ქეთო და კოტე (დღისით), გორდა (საღამოს, 30-ე სასკოლო აბონემენტი), **რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — ჩვენ, მისი უდიდებულესობა (დღისით), ბევრი მეზურნეები (საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — ყაოამან ყანთელაძე (დღისით), წმინდანები ჯოჯოხეთში (საღამოს), **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — ბაბაჯანას ქოშები (დღისით), მეცხრე ტალღა (პრემიერა, საღამოს), **პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი** — დონ სეზარ დე ბაზანი (№ 12 აბონ. დღის 11 ს., № 14 აბონ. დღის 4 ს.), შაითან ხიხო (№ 43 აბონ. დღის 11 ს. და 30 წ., № 23 აბონ. საღ. 6 ს.), **კონსერვატორიის დიდი დარბაზი** — ე. გრიგის შემოქმედებისადმი მიძღვნილი კონცერტი, **ფილარმონიის საზამთრო** — მინიატიურების თეატრი — ენკი ბენკი, **თოჯინების ქართული** — ცანგალა (დღის 12 ს. და 2 ს.).



## თბილისის იპოდრომზე

ყოველ შაბათ-კვირა დღეს იმართება

## დოღი და რბოლა

მონაწილეობენ ჩრდილოეთ კავკასიის ცხენსაშენების, მოსკოვის, კუიბიშევისა და თბილისის იპოდრომების საუკეთესო ცხენები. მუშაობს ტოტალიზატორი.

დასაწყისი 1 საათზე.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

„კომუნისტი"

თბილისი. ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-98-03, 99-03-09, პ/მგ. მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, წერილების 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, განცხადებების — 93-93-96.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 № 07428

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.